# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 31 იანვარი, 2013 წელი.

№19 (7146)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## მთავარი კითხვა ივანიშვილთან



როგორადაც არ უნდა იყო დაჯერებული საკუთარ სტაბილურობასა და პერსპექტიულობაში, რატომ აჩენ ამდენ კითხვის ნიშანს? მოხსენი ისინი და მორჩება საქმე!

3

## მიჩქმალული გმირობა

4

ყველაფერს აჯობებს, მიხეილ სააკაშვილმა მოკიდოს იმ ლეგენდარულ კაპიტანს ხელი, დასვას ტელეეკრანთან, წვრილად მოაყოლოს ამბავი, თვითონ კი თავისი ბრწყინვალების ორდენით დაუმშვენოს ნაჯაფ-ნაჭრილობევი მკერდი!

გუშინ 85 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი

**ნოდარ ანდღულაძე.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულის ახლობლებს და სრულიად საქართველოს.



6

## ნაცებისა და ხლისტების უკულმართი მცდელობანი

ვაი მთავარსარდლისგან...

# ...აბჯარი თუნდაც ხისაო,

## ანუ „ლაგატკიდან" რაკეტამდე და.... დაკარგულის დაბრუნების ნაცვლად – უფრო მეტის დაკარგვამდე

**დარწმუნებული** ვარ, ქართული პოეზიის საუცხოოდ მცოდნე მიხეილ სააკაშვილს, რომელიც სამართლიანად ამაყობს იმით, რომ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი", თანაც ისე ღრმად, რომ როსტევან მეფის დახასიათებისას ავტორის მიერ დაშვებული შეცდომებიც კი გაასწორა (იგი თურმე „მაღალი, უხვი, მდაბალი" კი არა, **დაბალი**, „ლაშქარმრავალი" კი არა, **უხვლაშქრიანი** ყოფილა), წერილის სათაურად გამოტანილი ამ ხალხური ფრთიანი ფრაზის პირველი ნაწილიც კარგად ეცოდინება.

სწორედ იმ პირველ ნაწილში მოხსენიებულის სრული ანალოგია ჩვენი მთავარსარდალი – უშიშო, ვითარცა უხორცო. ყველას გექნებათ ნანახი, თანაც მრავალგზის, შიშისგან ლამის ისტერიკაში როგორ ჩავარდა 2008 წლის აგვისტოში გორში მყოფი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი რუსული თვითმფრინავის გუგუნის გაგონებისას , და როგორ არ ანებებდა სტუმრის ასეთი საქციელით გაკვირვებულ, მაგრამ მის საშველად შემართულ მიხეილ ლომგულს ზედმეტად ფრთხილი პირადი დაცვა ამის გაკეთებას და მიწაზე ჰყავდა გაკრული **(ზოგიერთმა ავყიამ მერე ეს კადრები ისეც „გაასაღა", თითქოს პირიქით მოხდა – დამფრთხალ მიშას დაავიწყდა თავისი სტუმარიც, მასპინძლის მოვალეობაც, და შეშინებული თხუნელობასღა ნატრობდა, რომ მიწაში ჩამძვრალიყოო!).**

შაყირს მოუკვდეს პატრონიო, მეტყვით, ალბათ, და სწორიც იქნებით.

ამიტომ სჯობს მთავარ სათქმელზე გადავიდე.

გაბონებული ფულივით ყავლგასული და უფუნქციო ქვეყნის პირველი პირი, მაგრამ ჯერაც მთავარსარდალი მიხეილ ლომგული გუშინწინ სამხედრო აკადემიას სტუმრობდა.

**– აი, ასეთი „ლაგატკით" იყო შეიარაღებული ქართული ჯარი, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, ახლა კი საუცხოოდ გაწვრთნილ-აღჭურვილი, ჩაცმულ-დახურული და ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილები გვყავსო,** – ლამის ყოველი ჩვენგანის ბავშვობისდროინდელი საყვარელი იარაღი – შურდული – აჩვენა მან კურსანტებს...

რამდენჯერ დავპირებივარ საკუთარ თავს, – ამ კაცის ერთობ ულოგიკო, ლამის აბსურდულ გამონათქვამებს, უთავბოლო ბაქი-ბუქსა და მსგავს რამეებს არ გამოვეპასუხები, ის კი არა, ტელევიზიით მის გამოსვლებსაც არ ვუყურებ, რადგან ნერვები მეშლება-მეთქი, მაგრამ არ გამომდის.

ახლაც გამიჩნდა რამდენიმე კითხვა. განა იმიტომ, რომ რაც თქვა, ტყუილი იყო – **ჯარი, ადრინდელთან შედარებით, მართლაც რადიკალურად შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ ეს ყველაფერი განა თავისით მოვიდა? არ უნდა თქვა, ვინ იყო ის ადამიანი, ვისი ლომის წილიც დევს ჯარის ამგვარ გარდაქმნაში?**

ნაპოლეონს აქვს ნათქვამი, **ადამიანს შეიძლება ღალატიც კი ვაპატიო, მაგრამ უმადურობას ვერ შევუნდობო!**

ამის გათვალისწინებით, მიხეილ ლომგულო, **ამ ბოლო 9 წლის განმავლობაში კარგი „ატკრივალკასავით" რომ ხსნიდი ობიექტებს, ერთხელ მაინც თუ მოგიხსენებია სამადლობელი სიტყვით ის ადამიანი, ვისი უპრეტენზიო თანადგომითა და სახსრებითაც აიგო ისინი?**

ახლა კი მთლად მთავარი სათქმელი, უფრო სწორად, კითხვა:

**როგორ მოხდა, მთავარსარდალო მიხეილ ლომგულო, რომ „ლაგატკით" შეიარაღებული ქართული ჯარი უკეთ იცავდა თავის ტერიტორიებს, ისეთმა არმიამ კი, როგორიც შენი მთავარსარდლობით შეიქმნა და იბრძოდა, დაკარგულის დაბრუნების ნაცვლად უფრო მეტის დაკარგვამდე მიგვიყვანა?**



**მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ შენს დროს დაიკარგა კოდორის ხეობაც, ქვეყნის ის პატარა ნაწილი, რომელიც საქართველოს არც ერთ დამპყრობელს არასდროს არ დაუპყრია. (აქ იმის აღნიშვნაც არის უპრიანი, რაოდენ დიდძალი იარაღი-აღჭურვილობა და თანამედროვე ტექნიკაც წაიღო ოკუპანტმა ალაფის სახით ჩვენი უპატრონოდ მიტოვებული სამხედრო ბაზებიდან და საწყობყაზარმებიდან!).**

როგორ ფიქრობ, **ამის მიზეზი ამ წერილის სათაურად გამოტანილი ხალხური ფრთიანი გამოთქმის პირველ ნაწილში ვინც იგულისხმება, იმისი სრული ანტიპოდი ხომ არ არის შენი სახით?**

ერთი ქართული მულტფილმი ხომ გახსოვს, წრუწუნამ კატისგან თავის დასახსნელად ლომობა რომ ინატრა, მაგრამ ლომად ქცეულს კატის დანახვაზე მაინც შიშისგან სული ფეხებში გაეპარა?

**მორალი? გონიერი და ვაჟკაცი მეთაური იყოს თორემ, ზოგჯერ „ლაგატკით" შეიარაღებულ ჯარსაც შეუძლია მტრის დამარცხება! (ბოლოს და ბოლოს, დავითმა ხომ სწორედ შურდულით სძლია გოლიათს!)**

**ამიტომაც არ არის საჭირო ჯარის ამჟამინდელი მდგომარეობით ტრაბახი, რადგან მან, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპისთვის მაინც, თავისი მთავარი ფუნქცია ვერ შეასრულა.**

**მაშ, რა გაქვს საბაქიბუქო?**

**რუსლან რუსია**

# რას ედავებიან სიბაშვილსა და გრემელაშვილს?

**კახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ყოფილი პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნათია სუხიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. გამოძიება სიბაშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და გადამეტებაში, ასევე სახელმწიფო ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და გაფლანგვის ფაქტებზე ედავება.**

„გამოძიებით დადგინდა, რომ სიბაშვილმა კახეთის რეგიონული სააგენტოს დირექტორ ვალერიან გრემელაშვილს დაავალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში წყალდიდობით დაზიანებული შიდა გზების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისთვის ხელშეკრულება დაედო ინდმეწარმე დიმიტრი ივანელაშვილთან. ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული სამუშაოებისთვის ივანელაშვილის საბანკო ანგარიშზე კახეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოდან გადაირიცხა 55 689 ლარი, რეალურად კი შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღმოჩნდა ნაკლები და გაფლანგულ იქნა 10 794 ლარი.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ სიბაშვილის დავალებით დედოფლისწყაროში არსებული ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, გრემელაშვილმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „ხიდთან“, რომელმაც



74 963 ღირებულების ჩატარებული სამუშაოების ხელშეკრულება წარადგინა. გამოძიებით დადგინა, რომ რეალურად შესრულდა ნაკლები ღირებულების სამუშაოები და გაფლანგული თანხა აღმოჩნდა 24 145 ლარი.

გამოძიების ამ ეტაპზე, ასევე, დადგენილია, რომ სიბაშვილის დავალებით გრემელაშვილმა კახეთის რეგიონული ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი ნივთებისა და ატრიბუტიკის შესყიდვის მიზნით, ერთ-ერთ შპს-სთან 208 207 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა, შესყიდული საქონლის რეალური ღირებულება აღმოჩნდა 98 896 ლარი. აღნიშნული ქმედებით, სიბაშვილმა და გრემელაშვილმა კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს კუთვნილი თანხა 115 311 ლარი გაფლანგეს.

გამოძიებამ სიბაშვილი კიდევ ერთ დანაშაულებრივ ქმედებაში ამხილა, კერძოდ, ბრალდებულმა გრემელაშვილს უკანონოდ დაავალა კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოში თანამშრომლებად გაეფორმებინა თავისი მეგობრები. აღნიშნული პირები არავითარ სამუშაოს არ ასრულებდნენ და ერთი წლის განმავლობაში ხელფასის სახით იღებდნენ სხვადასხვა ოდენობის თანხებს.

აღნიშნულის გამო სააგენტოს 29 224 ლარით მიადგა ზიანი.

გარდა ამისა, ერთი წლის განმავლობაში სიბაშვილი საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ და გამორჩენის მისაღებად, გრემელაშვილს სთხოვდა მისთვის, როგორც კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარისთვის, პრემიები ჩაერიცხა. ერთი წლის განმავლობაში მან პრემიების სახით მიიღო 13 376 ლარი, – განაცხადა სუხიაშვილმა.

ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების პირველი ნაწილით და 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების 11 წლით აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესი**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

# განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავისი წესდების მე-10 თავის შესაბამისად აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

| სპეციალობა | ვაკანსიათა რაოდენობა |
|---|---|
| 1 | 2 |
| **მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება** | |
| მათემატიკა | 2 |
| ფიზიკა | 2 |
| **დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| გეოლოგია | 1 |
| გეოფიზიკა | 1 |
| **გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება** | |
| ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია | 1 |
| სამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები | 2 |
| **ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება** | |
| ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები | 2 |
| **ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| პალეობიოლოგია | 1 |
| ბიოლოგია | 1 |
| **მედიცინის განყოფილება** | |
| უროლოგია | 1 |
| ნევროლოგია | 1 |
| ოტო-რინო-ლარინგოლოგია | 1 |
| 1 | 2 |
| **ფიზიოლოგიის განყოფილება** | |
| ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია | 1 |
| ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია | 1 |
| ნეიროფიზიოლოგია | 1 |
| **სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება** | |
| სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა | 1 |
| ნიადაგმცოდნეობა, მეტყევეობა | 1 |
| აგროტექნოლოგია | 1 |
| **საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება** | |
| საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორია | 1 |
| ძველი აღმოსავლეთის ისტორია | 1 |
| გამოყენებითი ეკონომიკა | 1 |
| ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია | 1 |
| სამართალმცოდნეობა | 1 |
| ქართულ-სომხურ-ალბანური ისტორია და ფილოლოგია | 1 |
| ფილოსოფიის ისტორია | 1 |
| **ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება** | |
| ქართული ენა | 1 |
| ენათმეცნიერება | 1 |
| აღმოსავლეთმცოდნეობა | 1 |
| ქართული ლიტერატურის ისტორია | 1 |
| კლასიკური ფილოლოგია | 1 |

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად შეიძლება არჩეულ იქნეს მეცნიერი – საქართველოს მოქალაქე, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში და მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტით სარგებლობს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს (წევრებს), სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით, კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დიპლომების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4X6).

აღნიშნული განცხადება განთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებ-გვერდზე www.science.org.ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადების მიღება ხდება 2013 წლის 1 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი 8, რუსთაველის პროსპ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამსახური, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 293-29-86). საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
**თამაზ გამყრელიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი
**ოთარ ნათიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# მთავარი კითხვა ივანიშვილთან

## როგორადაც არ უნდა იყო დაჯერებული საკუთარ სტაბილურობასა და პერსპექტიულობაში, რატომ აჩენ ამდენ კითხვის ნიშანს? მოხსენი ისინი და მორჩება საქმე!



*„ნაციონალური მოძრაობა“ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე და მას შემდეგაც აქცენტს მის პრორუსულ ორიენტაციაზე აკეთებს. ხელისუფლებაში მოსვლამდეც და შემდეგაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მისი საგარეო ვექტორი ნატოსა და ევროკავშირისკენ არის მიმართული, თუმცა ისიც აშკარად ჩანს, რომ დასავლეთთან სრულ ურთიერთგაგებას ახალმა ხელისუფლებამ ჯერ ვერ მიაღწია.*

*იმაზე, თუ რამდენად საფუძვლიანია შიში და ეჭვები, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ გამოთქვამს ახალი ხელისუფლების საგარეო კურსის მიმართ, გვესაუბრება ექსპერტი* ***ხათუნა ლაგაზიძე.***

— ბევრი კითხვა ლოგიკურია, მოდით, ვთქვათ, რა იწვევს ამ შიშს? ერთი ის, რომ ბევრ კითხვაზე პასუხი არ გაცემულა, არ დასმულა საკითხი და საგარეო პოლიტიკის რაღაც მიმართულებები ჯერ არ გააქტიურებულა. აქედან გამომდინარე, არც ჩანს პოზიცია, როგორი იქნება იგი.

არის სხვა მიმართულებები, იგივე საგარეო პოლიტიკის, სადაც რაღაც ნაბიჯები გადაიდგა და მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ხელისუფლების ნაბიჯებისგან, ამანაც გააჩინა კითხვები.

ზოგადად, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების სტილი შეიცვალა, რაც თვალშისაცემია — უფრო თავისუფალი და თვითკმარი გახდა წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით და ზოგადად არღვევს ნორმატიულ კლიშეებსა და კონიუნქტურას, რაც მიღებულია მსოფლიოში.

ღიად უნდა ითქვას, რომ ამ ხელისუფლების ახალი საგარეო პოლიტიკური სტილი ბევრ კითხვას აჩენს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

ეს ყველაფერი კომპლექსურად, „ნაციონალურ მოძრაობას“ იმის თქმის უფლებას აძლევს, რომ ბევრი რამ საგარეო პოლიტიკური მიმართულებით იცვლება. თუმცა, აქ მთავარი კითხვაა, იცვლება მხოლოდ სტილი ურთიერთობის თუ იცვლება შინაარსი.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ ხაზგასმით საუბრობს რუსულ ინტერესზე, არის თუ არა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება საგარეო კურსის შეცვლა?**

— ფაქტია ისიც, რომ რუსეთთან თვალშისაცემად გაინტენსიურებულია ურთიერთობა არამარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით და აღარაფერს ვამბობ საქართველოს ეკლესიაზე.

პატრიარქის ვიზიტის ფარგლებში და ვიზიტის შემდეგ გაკეთებული განცხადებები ძალიან უცხოა იმისგან, რაც ჩვენ გვესმოდა არა მხოლოდ ბოლო 9 წლის განმავლობაში, არამედ, იგივე შევარდნაძის ეპოქაში. ამიტომაც, ბევრს ეხამუშა ისეთი ღია და გაჭრილი ორიენტირები, რომელიც პატრიარქის გამოსვლებში ისმოდა.

ის, რომ საქართველოში ეკლესია და ხელისუფლება ძალიან არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან, ახალი თემა არ არის. ზოგჯერ ეს გადაჯაჭვულობა კონფრონტაციაში ვლინდება, როგორც წინა ხელისუფლების დროს, როცა ნაციონალების ხელისუფლების მთელი ისტორია ფაქტობრივად მათი მართლმადიდებლობასთან ბრძოლის 9-წლიანი ისტორიაც იყო, ისე ახალი ხელისუფლების დროს — არჩევნების წინა პერიოდიდან დაწყებული, განსაკუთრებით ბოლო თვეებში, ახლანდელი ხელისუფლებისადმი ეკლესიის მხრიდან ღია იყო მხარდაჭერა. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი გვაძლევს კითხვის ნიშნის დასმის საფუძველს, რომ რის ცვლილებასთან გვაქვს საქმე — მხოლოდ სტილის თუ შინაარსის?

რაც შეეხება აფხაზეთის რკინიგზას, რომლის შესახებ ლაპარაკიც კვლავ გააქტიურა სააკაშვილმა. ეს იყო, მხოლოდ ერთი ფრაზა, ნათქვამი პრემიერის მიერ, რომ ეს საკითხი შესაძლოა, განიხილონ. არ ვიცით ამ მიმართულებით რა სახის მუშაობა მიმდინარეობს, ამ თემის განხილვა არ მომხდარა საჯაროდ, ვიცით მხოლოდ, რომ აფხაზურმა მხარემ შეიძლება იფიქროს ამაზე. გვაძლევს ეს ფრაზა იმის საფუძველს, ვიფიქროთ რომ რუსეთის დაკვეთას ვასრულებთ?

**— არ მაქვს ინფორმაცია, ამ მიმართულებით რაღაც მოლაპარაკებები მიდის თუ ეს იყო ინიციატივის დონეზე გახმიანებული, თუ ეს იყო შედეგი, რაც პირდაპირ თქვა ივანიშვილმა, რომ ის რეალურად მზად არ იყო ამ საკითხზე სასაუბროდ და ის პლუსები, მინუსები, რისკები და საფრთხეები, რაც ამ თემის წამოწევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მას საგარეო საქმეთა სამინისტრომ არ მიაწოდა.**

— თუ ლოგიკურ ხაზს ავაგებთ — ადამიანი ამბობს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა მიეწოდებინა საგარეო საქმეთა სამინისტროს, არ მიაწოდეს. ეს უნდა ყოფილიყო დეტალურად განხილული საკითხი, როგორც სომხეთის ინტერესის სფერო — რა დადებითი და უარყოფითი მომენტები ახლავს მას, რა რისკები და შანსები. მსგავსი რამ საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრემიერს არ მიაწოდა. ამის შემდეგ მიდის პრემიერი სომხეთში და აკეთებს განცხადებას, რომელსაც ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვა. ამ განცხადების შემდეგ, რაც ძალზე საინტერესოა, ის პერსონა, რომელსაც ევალებოდა ამ ინფორმაციის მიწოდება და არ მიაწოდა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ფაქტობრივად, დემარშით ტოვებს თავის პოსტს და საბაბად სწორედ ამას იყენებს, რომ უცნაური განცხადება გააკეთა პრემიერმა სომხეთშიო. ამ დემარშს უკვე ნაციონალები იყენებენ და აფრიალებენ დროშად. თუ ამ ლოგიკურ ხაზს გავყვებით, შეიძლება კითხვა ასეც დაისვას, იყო კი ეს ივანიშვილის ინიციატივა თუ აბსოლუტურად შეგნებული საბოტაჟი ნაციონალების მხრიდან, ანუ ძალიან კარგად გაწერილი ბინძური სცენარი? ეს ერთი მიმართულებაა.

მეორეა, რომ ივანიშვილმა თქვა სწორედ ის, რისი თქმაც უნდოდა, თუმცა, ის საკითხი, რომ მას ამ თემის განვითარების არგუმენტები არ ჰქონდა, აქტუალობას არ კარგავს...

**— როგორ ფიქრობთ, ამ თემაზე ერთმნიშვნელოვნად უნდა ვთქვათ უარი, თუ შესაძლებელია მისი განხილვა, რას კარგავს საქართველო თუ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე ლაპარაკს დაიწყებს?**

— ასე ერთმნიშვნელოვნად და ხელაღებით ამ თემის დაბლოკვა არის სიბეცე. რა თქმა უნდა, უზარმაზარი რისკები არის. თეორიულად გასაგებია, თუ დღევანდელ სტატუს-კვოზე დაყრდნობით გაიხსნა ეს რკინიგზა, მესაზღვრეები და მებაჟეები ჩააყენეს აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ავტომატურად ვაღიარეთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ამას აუცილებლად მოჰყვება დომინოს პრინციპით აღიარებები მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნის მხრიდან. როცა შენ დგამ ამ ნაბიჯს და ითმენ იმას, რომ აფხაზი მესაზღვრეები ჩაგიდგებიან სამეგრელოსთან, თავისთავად ეს არის მესიჯი მსოფლიოსთვის, რომ დოკუმენტზე ხელი კი არ მომიწერია, მაგრამ ფსიქოლოგიურად და გარკვეულწილად, სამართლებრივადაც შევეგუე იმას, რომ აფხაზეთი ჩემი ტერიტორია აღარ არის.

რა თქმა უნდა, ეს არის უზარმაზარი რისკი, მაგრამ ამავე ალბათობით არის მცირე, მაგრამ მაინც შანსი იმისა, რომ ჩვენი მებაჟეები და მესაზღვრეები დაშვებულ იქნენ საქართველო-რუსეთის, ანუ აფხაზეთისა და რუსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე. ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა არაფორმალური აღიარება იმისა, რომ რუსეთი უკვე აღარ ცნობს აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ეს არ იქნებოდა დოკუმენტურად გაფორმებული, მაგრამ ფაქტობრივად, ისეთივე მესიჯი იქნებოდა მსოფლიოსთვის, რომ ის არ ცნობს აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, როგორც პირველ შემთხვევაში. ეს მესიჯი იქნებოდა პირველ რიგში აფხაზებისთვის.

ეს შანსი არსებობს, მაგრამ ძალიან მცირე, თუმცა რაკი არსებობს, რატომ არ უნდა იმოძრაო ამ მიმართულებით თუნდაც მოლაპარაკებების დონეზე? ეს ხომ აბსურდია, რომ წინასწარ თავი წაგებულად გამოაცხადო. ყველა შანსი უნდა იყოს გამოყენებული, მოლაპარაკებას ხელს რა უშლის? თუ არ შედგება ეს მოლაპარაკება, დავუბრუნდებით არსებულ სტატუს-კვოს.

რა თქმა უნდა, ისმის ის კითხვაც, დავუშვათ, წამოვიდა რუსეთი ამაზე და ჩვენი მესაზღვრეები დააყენა თავის საზღვართან, რის სანაცვლოდ შეიძლება ეს მოხდეს? ესეც უმთავრესი კითხვაა. ასე რომ, აქ ძალიან ბევრი საკითხია გასათვალისწინებელი.

**— თქვენ ახსენით, რომ საკმაოდ რთული თემაა, მაგრამ მოლაპარაკების დაწყება შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში რას ემსახურება სააკაშვილის მწვავე განცხადებები, რომ ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესები და საქართველო არ უნდა გახდეს პაიკი რუსეთის თამაშში?**

— სააკაშვილს რომ არასდროს არ ჰქონდა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა თავისი მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე, ამას ამ საკითხისადმი მიდგომაც მოწმობს. ის აპელირებს იმაზე, რომ სომხეთს, აზერბაიჯანს რაღაც ინტერესები აქვთ, ვიღაცას კავკასიის კონტროლი გაუადვილდება და საერთოდ არ ახსენდება საქართველო. რეალურად, ის არასდროს არ ყოფილა საქართველოს პრეზიდენტი, მას არასოდეს არ დაუცავს საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესები. ის ყოველთვის იყო მარიონეტი სხვის ხელში.

ასე დავსვათ საკითხი, თუ არსებობს თეორიული შანსი იმისა, რომ აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა? ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ძლიერი და სტაბილური მეზობლები გვყავდეს სომხეთისა და აზერბაიჯანის, იგივე თურქეთის სახით. ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი ძლიერება, დამოუკიდებლობა და მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღმავლობა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველას ჰქონდეს თავისი თვითგამორკვევის უფლება და სტაბილურობა უპირველეს ყოვლისა, რაც უმნიშვნელოვანესია კავკასიის რეგიონში, მაგრამ სად დგას აქ საქართველოს ინტერესი?

რა თქმა უნდა, არ ვთვლი, რომ ამ ეტაპისთვის ეს არის თუნდაც რეალობასთან მიახლოებული შანსი, მაგრამ თუკი თეორიული შანსი არსებობს, რომ შენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღადგინო, ჯერ ეს უნდა იყოს შენი პრიორიტეტი და შემდეგ სხვა დანარჩენი — რა ირიბი ეფექტებიც შეიძლება ამას მოჰყვეს.

სააკაშვილის ხელისუფლება ასე არასოდეს არ უდგებოდა საგარეო პოლიტიკას — ჯერ ყველას ყველაფერი და მერე სადღაც ირიბად თუ შეეხებოდა რამეს საქართველოს ინტერესი, თორემ პირველი რიგის ამოცანა ეს ყოფილიყო, სხვა დანარჩენი კი გასათვალისწინებელი ფაქტორები, ასეთი მიდგომა ჩვენ არასდროს არ გვქონია.

ეგებ ახალ ხელისუფლებას ჰქონდეს ასეთი პოლიტიკა. კიდევ ვამბობ, ილუზიების ტყვე არ ვარ და ვხვდები, რომ რაკი კითხვის ნიშნები გაჩნდა, ამ კითხვებს კონკრეტული, დასაბუთებული პასუხები უნდა გაეცეს და არა დეკლარირებული, რომ მე ნატოსკენ მივდივარ და ევროპისკენ გავრბივარ.

**— რას გულისხმობთ, კონკრეტულ, დასაბუთებულ პასუხებში თუნდაც ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— ან ერთი უნდა ითქვას ღიად და გასაგებად ამ ხელისუფლების მიერ ან — მეორე. თუ რეალურად გვინდა ამ დიდი გზის აღდგენა, ესეც უნდა ითქვას. ყველა ეტაპი რის საშუალებასაც სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესები იძლევა, უნდა იყოს გასაჯაროებული. უნდა ითქვას, რისკენ მივდივართ და რის ნაცვლად რას მივიღებთ.

მესმის, რომ ახალი ხელისუფლების სტაბილურობას და მდგრადობას არაფერი ემუქრება თვალსაწიერ მომავალში, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მესმის, როგორადაც არ უნდა იყო დაჯერებული საკუთარ სტაბილურობასა და პერსპექტიულობაში, რატომ აჩენ ამდენ კითხვის ნიშანს? ეს ხომ დაგროვდება და ადრე თუ გვიან სადღაც ამოხეთქავს. ასე იყო სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც, რომელსაც ეგონა, რომ მუდმივი იქნებოდა.

რატომ აგროვებ ამ კითხვებს, მით უმეტეს, თუ შენს სიმართლეში დარწმუნებული ხარ, მით უმეტეს, რომ შენი საგარეო პოლიტიკური კურსი სწორედ შენი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება და შემდეგ პარალელურად, ითვალისწინებს სტრატეგიული პარტნიორების ინტერესებს? თქვი ეს და მოხსენი ეს კითხვის ნიშნები.

არ გამიჩნდებოდა კითხვები, რომ ვიცოდე, ნამდვილად მიდის ამ თემაზე საუბარი, ვიცით საფრთხეები, რაც ამას შეიძლება მოჰყვეს და ვიცით ის შანსი, რაც შეიძლება გამოჩნდეს და ვიცით, თეორიულად რა უნდა მოვთხოვოთ რუსეთს ამ შანსის რეალიზაციის სანაცვლოდ. ეს თვალსაჩინოდ უნდა იყოს მოწოდებული და არა ბუნდოვნად, რომ შედეგად არასასურველ გამოძახილს ჰპოვებდეს.

დარწმუნებული ვარ, რასაც ნაციონალები „უმუხრუჭოდ“ ამბობენ, ის აქტიური განხილვის თემაა დასავლეთის კაბინეტებშიც. კიდევ ვამბობ, ეს არ არის მხოლოდ ნაციონალების ახირება, თუნდაც, მათი მონაწილეობით განხორციელებული ბინძური სცენარი იყოს.

იხ. 6 გვ.

ინფორმაცია

## პრესის თავისუფლების რეიტინგში საქართველო მე-100 ადგილზეა

**საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2013 წლის „პრესის თავისუფლების ინდექსს“ აქვეყნებს. ანგარიშში საქართველოს მაჩვენებელი ოთხი საფეხურით გაუმჯობესდა და მე-100 ადგილზეა.**

**— საქართველოს, მოლდოვას, სომხეთსა და ყირგიზეთს, მიუხედავად ინდექსის მაჩვენებელში ფართო სხვაობისა, ბევრი საერთო აქვთ. ამ ქვეყნებში არსებობს მედიის პლურალიზმი და დაბალი სახელმწიფოებრივი ცენზურა, თუმცა, ისინი კვლავ აწყდებიან მნიშვნელოვან პრობლემებს, რაც ინფორმაციის მასობრივი საშუალებების დამოუკიდებლობასა და ჟურნალისტების სამუშაო გარემოს ეხება. ჟურნალისტები ხშირად არიან ცეცხლის ხაზზე მაღალპოლარიზებულ საზოგადოებაში და მრავალფეროვანი გავლენიანი ჯგუფები მათ, როგორც ადვილად მოსაპოვებელ ნადავლს, ისე ეპყრობიან, — ნათქვამია ანგარიშში.**

**გასული წლის ანგარიშის მსგავსად, „პრესის თავისუფლების ინდექსის“ 2013 წლის მაჩვენებელშიც პირველ სამეულში კვლავ არიან ფინეთი, ნიდერლანდები და ნორვეგია. ასევე, უცვლელია ბოლო სამ საფეხურზე მყოფი ქვეყნები — თურქმენეთი, ჩრდილოეთ კორეა და ერითრეა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ როგორ იქმნება ლეგენდები



# მიჩქმალული გმირობა

ძალიან მიყვარს შოთა ნიშნიანიძე. ვთვლი (არა მხოლოდ მე, უამრავ სხვასაც), რომ იგი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი „ქართველი პოეტია, სწორედ რომ მთაწმინდის ღირსი. მომწონს მისი მოულოდნელი, მოქნეული შედარებები, უჩვეულო, თითქოს ხორკლიანი, მაგრამ მაინც მსუბუქი სტრიქონები.

მაგრამ ამჯერად პოეტის შემოქმედების მხოლოდ ერთი კუთხე მინდა შევახსენო მკითხველს, მისი, ასე ვთქვათ, უჩვეულო „ისტორიზმი“, მართლაც პოეტური, ლირიკული დამოკიდებულება მოვლენებისადმი. იგი ერთობ თავისუფლად ექცევა ამ მოვლენებს, „ისტორიის ლურსმანზე“ როგორ უნდა, ისეთ სურათებს ჰკიდებს (ალექსანდრე დიუმასავით) და ამ დროს მისთვის მთავარია არა იმ სინამდვილის ზუსტი გადმოცემა, არამედ საკუთარი აღქმა და ხედვა.

აი თუნდაც:

**ის გადიოდა კრემლიდან მარტო**
**და ბავშვებისთვის გაჰქონდა პური...**

ეს... ლენინზეა ნათქვამი. და რამდენადაც შორს არის სინამდვილიდან, იმდენად ლამაზი და დასამახსოვრებელია ლექსი.

ასე იბადება ლეგენდები.

ყველას გვახსოვს, ჩვენს თვალწინ როგორ იშვა ლეგენდა ცხინვალელ 300 ოს ჭაბუკზე, რომლებმაც შიშველი ხელებით შეაჩერეს ქალაქზე მომდგარი პირსისხლიანი ქართველები. თითქოს ყველაფერი ნამდვილია: ერთი მუჭა ოსი ჭაბუკიც (მაინცდამაინც 300, აშკარად 300 სპარტელის ანალოგია, ლამაზად სათქმელად, თორემ 300 იყო თუ 1300, არავის დაუთვლია), ათასობით მომხვდური ქართველიც და მათი სამარცხვინო უკან გაბრუნებაც. ოღონდ ერთი „პაწია“ მომენტია გამოტოვებული: იმ „300“ გმირი მოყმის უკან (პირდაპირი მნიშვნელობით) რამდენიმე ასეული კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი იდგა ჩახმახშეყენებული. უიარაღოდ მიხტომის ორგანიზატორებმა რა უგუნურებაც ამ მიხტომით გამოიჩინეს, უკან დახევით მართლაც გონიერებას მოუხმეს და ქვეყანას სისხლისღვრა აარიდეს.

ქალაქის გმირი დამცველების ამბავი ოსეთში უმალ იქცა ლეგენდად, აწი იგი თაობიდან თაობას გადაეცემა ახალ-ახალი დამატებებით. წადი და მერე არკვიე, რა მოხდა სინამდვილეში.

ასეთ ლეგენდას დაუდო სათავე მიხეილ სააკაშვილმა ამას წინათ, თავისი განუყრელ, საველე ტრიბუნაზე ამხედრებულმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის კარინა გრიგორიანის ღირსების ორდენით დაჯილდოებისას (ჯილდო კი ამ ქალბატონმა იმით დაიმსახურა, რომ სამსახურიდან თავისი ნებით გადადგა პროტესტის ნიშნად, რომ საქართველოს პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა სამშობლოს ღალატისთვის გასამართლებულ პირებს). როდესაც კარინაზე ლაპარაკობდა, მიხეილ სააკაშვილმა იმის დასტურად, რომ ეთნიკური სომხები საქართველოს პატრიოტები არიან, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა სახელმწიფო მოხელე პატრიოტების დიდი ჯგუფი, რომლებიც მზად არიან საქართველოს ინტერესები დაიცვან მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და მრწამსისა, რაც ძალიან დიდი მიღწევაა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, კონკრეტული მაგალითიც დაასახელა: „კარგად მახსოვს კაპიტან ოგოიანის ისტორია, რომელმაც თავის სპეცრაზმთან ერთად გზა გადაუღობა რუსულ ტანკებს, რომლებიც ჯავახეთის მიმართულებით მიდიოდნენ“.

კაპიტანი ოგოიანი!..

დიდება და პატივი მას!

ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს.

საქართველოს ცოტა როდი ჰყავს მისთვის თავდადებული სომეხი შვილი.

მაგალითად, იაკობ გოგებაშვილი გვიამბობს გორელი ტერტერა სააკაშვილის თავდადებაზე. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერთ-ერთ სოფელში მყოფმა მღვდელმა თათრების ჯარი დაინახა და სასწრაფოდ გორისკენ გამოქანდა. გადმოსვლისას მან მტკვარზე ხიდი აჰყარა და ქალაქს მტრის მოახლოება ამცნო. თავდამსხმელები მდინარეზე უხიდოდ ვერ გადავიდნენ და შეჩერდნენ. ამასობაში ქართველებმა თავდასხმის შესახებ ცნობა მეფეს მიაწვდინეს. მაშველმა თათრები გაანადგურა. ასე გადაარჩინა ტერტერას სიფხიზლემ და სიმამაცემ გორი (ფაქტობრივად ქართლი) აოხრებას.

დიდმა იაკობმა ნამდვილი ამბავი მოგვითხრო.

კაპიტანი ოგოიანი ღირსეული კაცია.

მასზე მიშამ ადრეც თქვა. მაშინ ბორჯომის მიდამოები ახსენა ოგოიანის გმირობის ადგილად, ისიც მიანიშნა, ახალქალაქის პოლიციის მუშაკი იყოო თუ არისო.

აი, სულ ეს ვიცით იმ კაცის ოთხი წლის წინანდელ დაუვიწყარ თავდადებაზე.

ცოტაა.

არადა, ეს გმირობა ნამდვილად იმსახურებს, რომ სრულად, ვრცლად, ამომწურავად იცოდეს ქართველობამ.

თუნდაც იმიტომ, რომ მისდაუნებურად რაღაც-რაღაც კითხვები ჩნდება და არ იფანტება.

ჯერ ერთი, რატომ, როგორ არ გახმაურდა ეს ამბავი თავის დროზე, პრესასაც როგორ გამოეპარა და ახალქალაქში ჟურნალისტთა პოლიგრიმობა არ ატყდა?

მეორე. თითქმის გამოწვლილვით არის ცნობილი 2008 წლის აგვისტოს ომის გეოგრაფია. ვიცით, რომ საბრძოლო მოქმედებები, მით უფრო მტრის სატანკო ექსპედიციები, ძირითადად ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და ქარელი-გორი-კასპიმცხეთის ტერიტორიებზე მიმდინარეობდა. რაღაც არ გვახსოვს ბორჯომისკენ გაჭრილი რუსული ტანკების კოლონა, მით უფრო — „ჯავახეთის მიმართულებით“. თანაც თუ „ტანკებს გზა გადაუღობეს“, რაღაც შეტაკება, თუნდაც სიმბოლური, მაინც უნდა მომხდარიყო. ამის თაობაზე კი არავინ არაფერი იცის.

ახლა მთავარი. ვთქვათ ეს ყველაფერი არა ბორჯომთან, არამედ უფრო სამხრეთით მოხდა, მტერმა მართლაც სცადა ჯავახეთისკენ გაჭრა. როგორ მოხდა, რომ ახალქალაქელი ოგოიანის გარდა ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა (ბოლოს და ბოლოს, ახალციხეში ხომ საკმაოდ მოზრდილი საჯარისო ნაწილი დგას, სადაც ჯავახეთში მისვლამდე უნდა გაევლო მუხლუხა დესანტს). დაბოლოს, უაღრესად არსებითი: მაინც, რა „ჩამოსხმის“ სპეცნაზი იყო ეს თავზე ხელაღებული რაზმი? რომელი უწყების მებრძოლებისგან შედგებოდა? თუ მხოლოდ ახალქალაქელმა მოხალისეებმა ითავეს სამშობლოს დაცვა?

და მაინც: ბორჯომთან თუ გაურკვეველ „ჯავახეთის მიმართულებით“?

მე პირადად მეორე ვარიანტი მირჩევნია, თორემ შეიძლება ბოროტმა ენებმა ისიც კი თქვან, რა უნდოდა, რა მიზანს ისახავდა ახალქალაქელთა გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების სპეცრაზმი, არავის რომ არ დასიზმრებია ისე, ბორჯომთან იმ გაგანია ომის დროსო?

ყველაფერს აჯობებს მიხეილ სააკაშვილმა მოკიდოს იმ ლეგენდარულ კაპიტანს ხელი, დასვას ტელეეკრანთან, წვრილად მოაყოლოს ამბავი, თვითონ კი თავისი ბრწყინვალების ორდენით დაუმშვენოს ნაჯაფ-ნაჭრილობევი მკერდი!

ყოფილმა პრეზიდენტმა უკვე მეორედ ახსენა „ჯავახეთის მიმართულებით“ სატანკო ექსპედიციის შეჩერების ჟრუანტელისმომგვრელი ამბავი, რომელიც თანდათან სულ უფრო იყურსება ლეგენდებით.

აკი, ზემოთვე ვთქვით, როგორ იბადება ლეგენდები!..

**ალეკო ასლანიშვილი**

## ◉ შოკოლადის საწარმო დააყადაღეს

# „ბარამბოს“ ტკბილი ოცნება და მწარე რეალობა

**„ბარამბოს“ ტკბილი ხანა დასრულდა. ცეზარ ჩოჩელის მადევარმა ხელისუფლებამ შოკოლადის საწარმო დააყადაღა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის კომპანიებიდან ერთი უკვე დახურულია, მეორე — დაყადაღებული, მესამე — გაკოტრებული, მეოთხე — ჯერჯერობით, ძველებურად აგრძელებს საქმიანობას.**

სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია „ბარამბოს“ ქონება დაყადაღდა.

გუშინ შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტმა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მიმართა და სასამართლომაც ნოდარ ხადურის უწყების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

ქონების დაყადაღების მიუხედავად, კომპანია „ბარამბო“ მუშაობას არ წყვეტს. „ბარამბოს“ ფინანსური დირექტორის მარი ჩოჩელის თქმით, კომპანიის ქონების დაყადაღება თანადამფუძნებლებს ლუხუმ კაპანაძესა და ნიკოლოზ ვაშაკიძეს ეხებათ, რომლებიც ამავდროულად კომპანია „ნიუ ენერჯის“ მეწილეები არიან.

**„შემოსავლების სამსახური გვედავება, რომ ამ დამფუძნებლებმა „ნიუ ენერჯიდან“ „ბარამბოში“ მოიტანეს თანხა, გარკვეული გზებით და ამიტომ დაგვიყადაღეს ქონება, თუმცა კომპანიის ქონება დამფუძნებლებთან რა შუაშია, არ ვიცი“,** — განაცხადა მარი ჩოჩელმა.

მისი თქმით, აღნიშნულ ორ კომპანიას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

**„წესით, „ბარამბოში“ მხოლოდ შაქარაშვილისა და კაპანაძის ქონებები უნდა დაეყადაღებინათ, თუმცა შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მთლიანი ქონება დაყადაღდა“,** — აღნიშნა კომპანიის ფინანსურმა დირექტორმა.

კომპანიის მთავარი დამფუძნებელია მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის, ბრალდებულ ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი. თავად ცეზარ ჩოჩელიც აცხადებს, რომ მისი ძმა დროებით საქართველოდან გასულია და ორ დღეში დაბრუნდება.

კომპანია „ნიუ ენერჯი“ ცეზარ ჩოჩელის ბრალდებაშიც ფიგურირებს. კერძოდ, საგამოძიებო სამსახური ცეზარ ჩოჩელს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობას ედავება. გამოძიების ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელი გუბერნატორობისას უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯის“ საქმიანობაში, მფარველობას უწევდა აღნიშნულ შპს და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში.



გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლებით. ცეზარ ჩოჩელს აღმკვეთ ღონისძიებად 200-ათასლარიანი გირაო შეეფარდა, რომელიც უკვე გადაიხადა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ჩოჩელს 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

დაყადაღების გამო კომპანია შსს-ს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას ვერ იღებს. კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრი ყოველწლიურად აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტების შესყიდვაზე, მათ შორის შოკოლადზეც. 2010-2011 წლებში ტენდერი „ბარამბომ“ მოიგო.

**„წელსაც, 23 იანვარს გამოცხადდა ტენდერი 731 555 ლარის საკონდიტრო ნაწარმის შესყიდვაზე. მაგრამ იმის გამო, რომ იანვრის დასაწყისში შემოსავლების სამსახურმა უკანონოდ და უსაფუძვლოდ დააყადაღა შპს „ბარამბოს“ ქონება, კომპანია ვერ მიიღებს ტენდერში მონაწილეობას. მოგეხსენებათ, ტენდერის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა, რომელსაც ვერ წარადგენს „ბარამბო“ იმის გამო, რომ დაყადაღებული აქვს ქონება. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ეს არის მიზანმიმართული ქმედება, ზიანი მიაყენონ კომპანიას და ხელი შეუშალონ მის საქმიანობას“,** — ნათქვამია განცხადებაში.

„ბარამბოს“ ბრალდებას შემოსავლების სამსახური პასუხობს. რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას სამსახურის წარმომადგენელი აცხადებს, რომ „ბარამბოს“ ქონება შემოსავლების სამსახურს არ დაუყადაღებია. მათი განმარტებით, შემოსავლების სამსახურმა სარჩელის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მიმართა, ხოლო სასამართლომ ქონების დაყადაღების გადაწყვეტილება მიიღო.

**„ბარამბოს“ სახელი „ბერტასა“ და „ზედაზენთან“ ერთად, მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის სახელს უკავშირდება. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია „ბარამბოში“ ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელი 66%-იან წილს ფლობს.**

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# XX საუკუნის ქართული ეკონომიკური მეცნიერებისა და სამეურნეო პრაქტიკის გამოჩენილი მოღვაწე

## ვალერიან მელქაძის დაბადების 100 წლისთავის გამო

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან მელქაძე დაიბადა 1912 წლის 18 დეკემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენიშში. დაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო და სწავლა სამტრედიის პედაგოგიურ ტექნიკუმში განაგრძო, რომელიც 1931 წელს დაამთავრა. უკვე სამტრედიაში სწავლის პერიოდში იყო სოფელ კულაშის ქოხ-სამკითხველოს გამგე და შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი.**

1932 წელს ბატონმა ვალერიანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. წარჩინებულმა სტუდენტმა იმთავითვე გამოავლინა განსაკუთრებული უნარი და სწრაფვა მეცნიერებისადმი. სწავლის პერიოდში იგი სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოსა და თეორიული ეკონომიკის წრეს თავმჯდომარეობდა. მეცნიერული კვლევის ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას ასპირანტურაში ტოვებენ. 1937 წელსვე ბატონი ვალერიანი დაქორწინდა ქალბატონ ზინა შენგელიაზე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად ედგა გვერდში, როგორც ღირსეული მეუღლე და მეგობარი. მალე ბატონი ვალერიანი მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში მიავლინეს სადისერტაციო თემის დასამუშავებლად. ამ პერიოდში მას შეეძინა ერთადერთი ვაჟიშვილი ოთარი, რომელმაც, უპრიანია აქვე ითქვას, ღირსეულად განაგრძო სახელოვანი მამის გზა მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასა და სამეურნეო-პოლიტიკურ მოღვაწეობაში.

ბატონმა ვალერიანმა ოჯახი მოსკოვში გადაიყვანა და მატერიალური პრობლემების მოგვარებას და მეცნიერების დაუფლებას ნაცადი მეთოდით — სწავლასთან შრომის შეთავსებით შეუდგა. ცხოვრების დაძაბულ რიტმს ხელი არ შეუშლია მისთვის იმაში, რათა 1941 წელს მოსკოვშივე დიდი წარმატებით დაეცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დიდი შემოქმედებითი გეგმებით დატვირთული ახალგაზრდა მეცნიერი სამშობლოში დაბრუნდა. მართალია მას, როგორც სამეცნიერო ხარისხის მქონეს, ე. წ. ჯავშანი იცავდა, მაგრამ მან ამ პრივილეგიაზე უარი თქვა, საკუთარი სურვილით სამხედრო კომისარიატში გამოცხადდა და არმიის რიგებში ჩაეწერა. პოლიტიკური აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ იგი მოქმედ არმიაში გაიგზავნა. ბრძოლის ველზე გატარებული წლები რამდენიმე სერიოზული ჭრილობითა და მაღალი ჯილდოებით აღინიშნა. პოლკოვნიკ ვალერიან მელქაძეს მხედრული მიღწევებისათვის მიღებული ჰქონდა „სამამულო ომის“ პირველი და მეორე ხარისხის, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები, ოთხი მედალი, უმაღლესი მთავარსარდლის რამდენიმე პირადი მადლობის სიგელი.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ (1946 წ.) ბატონი ვალერიანი დიდი შემართებით იწყებს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაღალი ინტელექტი, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობა, მეცნიერული სიახლეებისკენ დაუოკებელი სწრაფვა, ცოდნის შეძენისა და სხვებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, ამ ცოდნის მაქსიმალურად და ოსტატურად გადაცემა, იყო მისი მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი და მთავარი არსი. არათუ საქართველოში, არამედ საერთოდაც, ძნელია, მოიძებნოს ეკონომისტთა შორის ისეთი მრავალმხრივი მოღვაწე, რომლის პიროვნებაში ასე ჰარმონიულად და თანაბრად ყოფილიყო შერწყმული თეორიული აზროვნებისა და სამეურნეო პრაქტიკის გარდაქმნისთვის მუდმივად მზადყოფნის უნარი. ბატონი ვალერიანის მთელი მოღვაწეობა ყველა სფეროში ზემოთ აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

აქ ძალზე მოკლედ შევეხებით ბატონი ვალერიანის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს. 1948 წლიდან, ათი წლის განმავლობაში, ბატონი ვალერიანი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა, სადაც მან მისთვის დამახასიათებელი წარმატებული საქმიანობით გაიარა ყველა საფეხური — რიგითი პარტიული მუშაკიდან საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნობამდე. 1958-60 წლებში იყო საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, ხოლო 1963 წლიდან დამფუძნებელი დირექტორის რანგში სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. 2002 წელს ინსტიტუტს მისი სახელი ეწოდა. მალევე ინსტიტუტი ეკონომიკური პრობლემების კვლევის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა საქართველოში. ბატონი ვალერიანის ყველა ეტაპის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანთვისება საკუთარი რწმენისა და პრინციპების ერთგულება, ხალხის უანგარო სამსახური იყო, რაც იმ დროს დიდ გამბედაობას საჭიროებდა, რადგანაც ხშირად უწევდა დამკვიდრებული დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა. დიდი რისკისა და თავდადების ფასად, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში იმარჯვებდა, რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდა შეუბღალავი ავტორიტეტი და ნებისმიერ შემთხვევაში გაბედული ქმედების უნარი. სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ მის მიერ უდიდესი ქართველი მეცნიერის, დიმიტრი უზნაძის თეორიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მოსკოვური თავდასხმებისგან, ხოლო აღიარებული ფილოსოფოსის სავლე წერეთლის ნაშრომისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მკაცრი ვერდიქტისაგან დაცვა. მაღალ პარტიულ თანამდებობებზე მუშაობისას მას ბევრი მსგავსი ნაბიჯი გადაუდგამს. მრავალი ღირსეული თვისებით შემკული და სხვათა სიმართლის სადარაჯოზე მდგარი თავად არაერთხელ დარჩენილა დაუცველი. ამას პარტიული აპარატიდან მისი დათხოვნისა და შემდეგ ისევ მიბრუნების ფაქტებიც ცხადყოფს. ვ. მელქაძის მთავარი მიზანი ყოველთვის და ყველგან იყო სიმართლისა და სამართლიანობისთვის, ჭეშმარიტებისთვის ბრძოლა, ხოლო იარაღი — უსაზღვრო ენერგია, ნათელი გონება და ნებისმიერი სასარგებლო საქმის კეთებისთვის მუდამ მზადყოფნა. საერთო აღიარებით ის, უწინარესად, მაინც სამეცნიერო შრომისთვის იყო მოწოდებული. ამას ადასტურებს ბატონი ვალერიანის, როგორც მკვლევრისა და უმაღლესი სკოლის პროფესორის, მოღვაწეობა და მიღწევები მეცნიერებისა და განათლების სფეროში. პირდაპირ საოცარია, რომ იგი უდიდესი წარმატებით ათავსებდა ერთმანეთთან სამეცნიერო მუშაობას, პედაგოგიურ მოღვაწეობას და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას, თანაც ყველა სფეროში ამჟღავნებდა იშვიათ ორგანიზატორულ ნიჭს, იქნებოდა ეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანობა, მთავრობაში თუ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობაში მუშაობა.



ბატონი ვალერიანის სამეცნიერო მოღვაწეობა ასახულია საავტორო წიგნებში, ნარკვევებში, საჟურნალო წერილებში, საგაზეთო პუბლიკაციებში, მისი რედაქტორობით გამოცემულ წიგნებში. მათგან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ნაშრომი: „პოლიტიკური ეკონომიის შესავალი“ (1959 წ.); „ეკონომიკური კრიზისები“ (1962 წ., ნაშრომს მიენიჭა ივ. ჯავახიშვილის სახელობის პირველი სამეცნიერო პრემია 1964 წელს); „ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის საკითხები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით“ (1967 წ.); კოლექტიური მონოგრაფია „საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა — მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“ (1975 წ., მონოგრაფია იმავე წელს საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. დაჯილდოებულთა შორის იყო ბატონი ვალერიანიც — ამ ნაშრომის მთავარი რედაქტორი და ორი მნიშვნელოვანი თავის ავტორი); „საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა“ (1974 წ.); „საქართველოს ეროვნული შემოსავლის კვლავწარმოების კანონზომიერებანი“ (რუსულ ენაზე, 1974 წ., მონოგრაფია წარდგენილი იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე 1975 წელს); „რეგიონული ეკონომიკა: გამოცდილება, კვლევის მიმართულებანი და სისტემურ-მიზნობრივი პროგრამა“ (1978 წ.); „საქართველოს საზოგადოებრივი პროდუქტის რეგიონალური სტრუქტურა“ (ქართულ და რუსულ ენებზე, 1978 წ.) და სხვ.

რეგიონული და ეროვნული იდეების ფართო პროპაგანდის მიზნით, ვალერიან მელქაძე აქტიურად იყენებდა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და საკავშირო კონფერენციებს. მისი ძალისხმევით ამ პრობლემების განხილვის საერთაშორისო ცენტრის მნიშვნელობა ქართულმა ეკონომიკურმა მეცნიერებამ იტვირთა.

ბატონ ვალერიანს, როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაში უახლესი მიმართულების — რეგიონული ეკონომიკის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ყოველთვის დიდი პატივით იწვევდნენ ეკონომისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, სადაც მისი გამოსვლები საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. ამას მოწმობს სიმპოზიუმების შემდეგდროინდელი გამოხმაურებები, რომელთა ნაწილი მოცემულია ვალერიან მელქაძის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომში: „მოგონებები გარდასულ დღეთა“... (თბ., 2002).

ბატონმა ვალერიანმა სსრკ-ის პირობებში საქართველოს მაგალითზე პირველმა შეიმუშავა მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების მეთოდოლოგია და მეთოდიკა. პრაქტიკულად გაიანგარიშა საქართველოს ეროვნული შემოსავალი და მისი შესაბამისი მაჩვენებელი „წმინდა პროდუქტი“ რესპუბლიკის რეგიონების მიხედვით. ამით შექმნა რეალური სურათი საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის და მისი გამოყენებისა, მოგვცა ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი მიმართულებების განსაზღვრის აუცილებლობის დასაბუთება, რისი გაკეთებაც მაშინ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მეცნიერული და მოქალაქეობრივი გმირობის ტოლფასი იყო.

ბატონი ვალერიანის განსაკუთრებული თვისებებიდან უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, არაჩვეულებრივი კეთილმოსურნეობა, ყველა ღირსეულისათვის უანგარო დახმარების, მხარდაჭერის სურვილი, რაშიც პოულობდა უდიდეს სიამოვნებასა და ბედნიერებას. საერთოდ ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის წარმატებები, ფრთებს ასხამდა, თვალებს გაუცისკროვნებდა, ისევ ტიტანური შრომის, დიდი საქმეების კეთებისა და ყველა კეთილი საქმის მხარდასაჭერად განაწყობდა. როგორც ჩანს, მისმა წარმოუდგენელმა ენერგიულობამაც ვერ გაუძლო იმ ზღვარდაუდებელი მიზნებისა და ამოცანების მიღწევა-გადაჭრას, რომელსაც ის თავის თავს უსახავდა მუდამ. ამას, ალბათ, დაემატა ცხოვრებისა და უკეთურ ადამიანთა სიმუხთლე, რაც არც ერთ დიდ პიროვნებას არ დაკლებია არასდროს და მათ შორის — არც ბატონ ვალერიანს. სამწუხაროდ, ამ დიდებული პიროვნების სიცოცხლე, მისი შემოქმედებითი წარმატებების მწვერვალზე ყოფნისას, მოულოდნელად შეწყდა 1981 წლის 10 ივნისს. მისი სახელი და საქმენი დაუვიწყარი იქნება შთამომავლობისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

---

**ისტორიული პარალელები**

# ქვეყნის პრეზიდენტი... პარლამენტის ოპოზიციაში?

**1642 წლის 22 აგვისტოს, სამოქალაქო ომის დროს, ინგლისის მეფე ჩარლზ I-მა, პარლამენტისთვის ომის გამოცხადების ნიშნად, აღმართა სამეფო დროშა — შტანდარტი. ფეოდალური რიტუალის მიხედვით, მეფის მიერ შტანდარტის აღმართვა ნიშნავდა რომელიმე ურჩი ფეოდალის წინააღმდეგ ომის გამოცხადებას. მეფის ჩანაფიქრიც ასეთი იყო — ფორმალურად იგი ომს უცხადებდა არა ინგლისელი ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ თემთა პალატის დეპუტატებს (მაშინ ის ვისი მეფე იქნებოდა, თუ თავისსავე ხალხს გამოუცხადებდა ომს?), არამედ კანონიერი მონარქის წინააღმდეგ ამხედრებულ ურჩ ფეოდალს ესექსს, რომელიც პარლამენტის ჯარის სარდალი იყო. ასე დაიწყო საომარი დაპირისპირება მეფისა და პარლამენტის ჯარებს შორის.**

**როგორც ვხედავთ, მართალია ფორმალურად, მაგრამ მაინც, აბსოლუტური მონარქი ჩარლზ I იძულებული იყო გაეთვალისწინებინა მორალურ-ეთიკური და იურიდიული ფაქტორები — ომი გამოუცხადა არა პარლამენტს, არამედ ურჩ ფეოდალს. ამით მან მიგვანიშნა, რომ ღვთის მიერ კურთხეული მეფეც კი, ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტს, ოპოზიციაში არ უნდა ჩაუდგეს.**

**ვაჟა თვალავაძე**

---

**ინფორმაცია**

# რამდენი ახალი ელჩი გვეყოლება უცხოეთში?!

**საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრეზიდენტს ახალი ელჩების სია უკვე გადაუგზავნა. როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ განაცხადა, პროცედურების მიხედვით, ჯერ პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი მათ დანიშვნას, შემდეგ სია გადაიგზავნება პარლამენტში, სადაც მოხდება ელჩების კანდიდატურების კომიტეტებში განხილვა, ბოლოს კი დასამტკიცებლად პლენარულ სხდომაზე გაიტანენ.**

**რაც შეეხება ახალი ელჩების ვინაობას, თედო ჯაფარიძის განცხადებით, მათი დასახელებისგან თავს შეიკავებს, ვიდრე პრეზიდენტი არ მოაწერს ხელს მათ დანიშვნას და ეს სია პარლამენტში არ შევა. ამასთან, არსებული ინფორმაციით, საფრანგეთში ელჩობის კანდიდატია ეკა სირაძე-დელონე, უკრაინაში — მიხეილ უკლება, ჩინეთში — დავით აფციაური. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ელჩობა ექსპერტ არჩილ გეგეშიძეს შესთავაზეს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## გულისწყრომა

# ნაცებისა და ხლისტების უკუღმართი მცდელობანი

დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, სხვა რითი იყვნენ დაკავებულები მეცოცხე-ხლისტები, თუ არა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან, პირადად მის უწმინდესობასთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან აშკარა თუ ფარული ბრძოლით?

რომელი ერთი გავიხსენოთ? — ეკლესიის საკურთხეველში თუ წმინდა სინოდის სხდომებზე არაერთგზის შეჭრა? იქნება პატრიარქის ქადაგებიდან ხლისტებისათვის იმ არასასურველი პასაჟის ამოღება გავიხსენოთ, სადაც ილია მეორე მამათმავლობის და, აქედან გამომდინარე, ერთსქესიანი ქორწინებების დაუშვებლობის შესახებ ქადაგებდა?

**არც ის დაგვვიწყებია, თუ როგორი შეურაცხყოფა მიაყენა თეა თუთბერიძემ მის უწმინდესობას იმ ვიდეორგოლის სოციალურ ქსელში ატვირთვით თუ პატრიარქის „კაგებეს აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტების“ გამოქვეყნებით — ჩვენ რომ ხალხი ვიყოთ და ერი ერობდეს, ამის ჩამდენი თეაბუდარიხა თავგადაპარსული და ვირზე უკუღმა შემჯდარი უნდა ჩაგვეტარებინა რუსთაველზე!..**

1 ოქტომბერს, მეცოცხეების კრახის შემდეგ, თითქოს შეჩერდა ნაცების მხრიდან მსგავსი ქმედებები. თუმცა, არა იმიტომ, რომ ხლისტები ჭეშმარიტ რჯულზე მოიქცენ, არამედ პრაგმატიზმის გამო — მთელი ქვეყნის მასშტაბით უარყოფილი ნაცებისთვის ეკლესიასთანაც ღია დაპირისპირება ნაცბანდის ნარჩენების სრულ ლიკვიდაციას ნიშნავდა!

აქედან იყო ვადაგასული მოქალაქე (მე მას პრეზიდენტად ალარასოდეს მოვიხსენიებ) სააკაშვილის ხაზგასმული მოკრძალება მისი უწმინდესობის მიმართ,მაგრამ შუბი ხალთაში, გნებავთ, ცეცხლი თივაში, დიდხანს ვერ იმალება და აკი ვერც ხლისტებმა შეძლეს დაუფარავის დაფარვა...

ჩვენი პატრიარქის ამას წინათ მოსკოვში განხორციელებული, მართლაც ისტორიული ვიზიტის დასაწყისშივე, სოციალურ ქსელში ვიანგლე და „დავპოსტე“: წარმომიდგენია, პატრიარქის მოსკოვს გამგზავრების გამო, რა მუცლის გვრემა და გველის კაჭრობა აქვთ ახლა ნაცხლისტებს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ-მეთქი! და მართლაც, ზემოთ ხსენებული პრაგმატიზმისა გამო, ნამდვილად მეგონა, რომ ნაცები, როგორც იტყვიან, „გაატარებდნენ“ პატრიარქის მოსკოვურ ვოიაჟს, მაგრამ თურმე, „სადა ბანაობ“, ხმა ამოიღეს კი არა, პატრიარქს ჭკუის დარიგება შეჰბედეს იმის გამო, რომ...

**„ღვთის მადლით და წყალობით ჩემი ვიზიტი იყო წარმატებული და ვფიქრობ, რომ ეს იყო ისტორიული ვიზიტი და კარგი შედეგები მოჰყვება. ჩვენთან არს ღმერთი“...**

ამ შეფასების გამო არატრატდნენ სერგო რატიანი და ზურაბ ჯაფარიძე, ნაცმოძრაობის შედარებით ახალი სახეები, რომელთა პათოსსაც მოგვიანებით, საგანგებო განცხადებით ძველი ნაცმოელი დავით დარჩიაშვილიც შეუერთდა.

**„ჩვენ ვთვლით, რომ შეუძლებელია რეაგირების გარეშე დარჩეს პატრიარქის უკანასკნელი ვიზიტი მოსკოვში და მისი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან“** — ჭკუის სწავლებას ვინლა დაეძებს, რადგან ჯაფარიძე-რატიანის ერთობლივი განცხადების ამ პროლოგში, მუქარის ტონიც აშკარაა და რა იგულისხმება ნეტავ ამ „შეუძლებელია რეაგირების გარეშე დარჩეს“-ში, პატრიარქის გადაყენების მოთხოვნაზე ხელმოწერების შეგროვებას აპირებენ თუ ამ განცხადებას გვაკმარებენ?

და იქვე — **„ეს ქვეყანა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ასეთ ვითარებაში მტრული სახელმწიფოს პირველ პირთან გადაჭარბებული მოწიწებით საუბარი ვერ იქნება საქართველოს სუვერენიტეტისთვის სიკეთის მომტანი პოლიტიკური გზავნილი“...**

რა უნდა უპასუხო „ფილოსოფოს“ რატიანს (რომელმაც კიდევ ერთი „სიბრძნე“ დამაწია წერილზე მუშაობისას, თურმე, რუსეთის პატრიარქის მიერ საქართველოს პატრიარქისთვის ალექსანდრე ნეველის წმინდა ნაწილების გადმოცემა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, რუსეთის ვასალები ვართ) და „პოლიტოლოგ“ ჯაფარიძეს ამ „მომაკვდინებელ“ არგუმენტზე?

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაც არ უნდა თემა წამოჭრან გაოპოზიციონერებულმა ნაცებმა, ყოველთვის ბუნებრივად იბადება რეპლიკა — თქვენ, საერთოდ რა უფლებით იღებთ ხმას, 9 წელიწადი ქვეყნის ნგრევის მეტი არაფერი გიკეთებიათო და ეს რეპლიკა უფრო მეტად ქართველი საზოგადოებიდან მოდის, ვიდრე დღევანდელი ხელისუფლებიდან. აქედან გამომდინარე, ნაცებს, მათი აზრით, ერთადერთი უსაფრთხო „თავშესაფარი“, რუსეთის თემის პედალირება ჰგონიათ. უფრო სწორედ, ამ თემაში ცდილობენ თავშეფარებას, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, მსგავსი მცდელობები, აგვისტოს ომის საზოგადოებისთვის წარამარა შეხსენება, მათ სასარგებლოდ არ და ვერ მუშაობს, რადგანაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის აგვისტოს ომის ტრაგედია და ამ ომის შედეგები, სწორედ ნაცებთან და მათ პრეზიდენტთან ასოცირდება!

ისე, ისიც საკითხავია, თუ ვინ ვის ეპყრობა „გადაჭარბებული მოწიწებით“ და კიდევ, ასე იყო თუ ისე, აგვისტოს ომის შემდეგ, სწორედაც რომ მისი უწმინდესობის დამსახურებით გაიყვანეს პერევიდან რუსებმა ჯარი და პირიქით, ტინგიცა სააკაშვილის დამსახურებით ის ჯარი ისევ უკან შემობრუნდა!

**ეგეც არ იყოს და მართლაც რა ნამუსით იღებენ ხმას აგვისტოს ომზე პატრიარქთან მიმართებაში —ეს ხომ ის ნაცები არიან, რომლებიც სარფში თუ წითელ ხიდზე ერთმანეთს ასწრებდნენ, ეს ხომ ის მთავარსარდალია, რომელიც თბილისში შიშისგან ჰალსტუხს ღეჭავდა და გორში ცხვირით მიწას თხრიდა და ეს ხომ ის პატრიარქია, რომელსაც ჯერ კიდევ საომარი ქმედებების დროს, ჩვენი ბიჭების უპატრონოდ დაყრილი ცხედრები გამოჰქონდა ბრძოლის ველიდან?**

და ბოლოს, ამ მათხოვარი ხლისტების განცხადების „კვინტესენცია“ — **„რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფაქტით — ეს არის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ საქართველო უნდა გახდეს ევრო-ატლანტიკური სივრცის ნაწილი, ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი“.**

ათასჯერ მითქვამს და ათასმეერთედ გავიმეორებ — ვეჭვობ, რომ ნატოში გაწევრება, „საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა“, რადგანაც ის გამოკითხვა თუ პლებისციტი, 2008 წლის გაყალბებული არჩევნების პარალელურად ჩატარდა და ამდენად, „გონივრული ეჭვი“ არსებობს იმისა, რომ პლებისციტის შედეგებიც გააყალბეს ნაცებმა!



თუმცა, დაუშვათ და მართლაც ნატოს სასარგებლო შედეგი დაფიქსირებულიყოს, იმ გამოკითხვის შემდეგ მოხდა აგვისტოს ომი და სრულიად ბუნებრივია ვარაუდი იმისა, რომ დღეს საზოგადოების მართლაც აბსოლუტური უმრავლესობა სხვანაირად ფიქრობდეს, რადგანაც ქართველებმა კარგად დავინახეთ, რომ ამერიკელების დახმარების ფასი, სასმელი წყლითა და პამპერსებით დატვირთული კრეისერები ყოფილა მხოლოდ!

აქედან გამომდინარე კი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი, რაც საბედნიეროდ უმრავლესობას შეადგენს, მიხვდებოდა, რომ რუსეთთან ნატოს იმედზე ჭიდაობა კარგას არაფერს მოუტანს საქართველოს, რადგან ნათქვამია — სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო, მითუმეტეს მაშინ, თუ ამ პეტრეს, ანუ ამერიკას, მოსვლა საერთოდ არ უფიქრია!

**იგივეს თქმა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პერსპექტივაზეც უპრიანია — თუ საერთოდ შესაძლებელია ოდესმე აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნება, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის კეთილი ნებით და არამც და არამც ევროსაბჭოს ფარატინა რეზოლუციებით — კიდევ მილიონჯერაც რომ ჩაწერონ ნაცებისთვის საკრალური სიტყვები, „ოკუპანტი“ და „ოკუპაცია“, ნიკანდრო ქილიასი არ იყოს, მიიწებეთ უკანალზე ის ქაღალდი და გქონდეთ იქ, ნაცებო!..**

მაშ რითი, საიდან უნდა დავიწყოთ რუსეთთან ახალი ურთიერთობების დალაგება, თუ არა ერთმორწმუნეობით? კი, ეკონომიკა თუ კულტურული ურთიერთობები მნიშვნელოვანია, მაგრამ მართლმადიდებლობა, ერთმორწმუნეობა დღეს იქნებ უფრო აქტუალურიცაა, ვიდრე ეს მეფე ერეკლეს დროს იყო! მართლმადიდებლობა, რომელსაც, სხვათა შორის, ისევე ებრძვიან რუსეთში დასავლეთიდან უხვად დაფინანსებული „ენჯეოები“ თუ ნეოლიბერალური „ოპოზიცია“, როგორც ჩვენთან, საქართველოში...

**აფხაზეთი რომ დავიბრუნოთ, ალბათ, რაიმე სასწაული უნდა მოხდესო — სადღაც ამოვიკითხე მეუფე სერაფიმეს ნათქვამი და მართლაც, ჭეშმარიტად, თქვენო მეუფებავ!**

და რადგანაც სასწაულები თუ ხდება, მხოლოდ ღვთის ნებით და არა მანქურთი ნაცების მეცადინეობით — ხმა ჩაიწყვიტეთ ხლისტებო და აცალეთ ჩვენს პატრიარქს, რომ სამშვიდობოს გაიყვანოს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო!

აცალეთ, თორემ თქვენთვისაც მოიცლის ქართველი ერი!..

**დავით მხეიძე**

## თვალსაზრისი

# მთავარი კითხვა ივანიშვილთან

**(მესამე გვერდიდან)**

კითხვის ნიშნები რომ ჩნდება და არა მხოლოდ ამ მიმართულებით, ესეც არ არის ნაციონალების ახირება. სხვას რომ თავი დავანებოთ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, საკმაოდ გამოცდილმა დიპლომატმა თედო ჯაფარიძემ აღიარა, რომ ძალიან ცუდად აქვთ საქმე ევროპულ სარბიელზე. რატომ ქმნიან ასეთ სიტუაციას, ამ კითხვაზე ვერ ვცემ პასუხს.

**— დავით დარჩიაშვილი საუბრობს სტრასბურგის კულუარებზე და ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია, თითქოს, რუსები საქართველოს ხელისუფლებაში გარკვეულ საკადრო ცვლილებებს ელოდებიან, რომ ურთიერთობების დალაგება დაიწყონ. რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ამ განცხადებას?**

— არ ვიცი, რა კულუარებს ეყრდნობა დარჩიაშვილი და ზოგადად, არ მჯერა ნაციონალების არც ერთი სიტყვის. რატომ არ შიფრავს, რომელ საკადრო ცვლილებებს გულისხმობს? დაახლოებით თვენახევრის წინ, სერგეი მარკოვმა გააკეთა ასეთი განცხადება, რომ სააკაშვილი რამდენიმე თვეში წავა პრეზიდენტობიდან და ამის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების პრობლემა მოიხსნებაო. შესაძლოა, ამას გულისხმობს, შეიძლება სხვა რაღაცას.

არ ვიცი, რას გულისხმობს დარჩიაშვილი და ჰყავს თუ არა რეალური წყარო. სამწუხაროდ, ეს ის ხალხია, რომლის სიტყვასაც ფასი და ნდობა აქვს დაკარგული. არანაირი არგუმენტი, რატომ უნდა ვენდო ნებისმიერი ნაციონალის სიტყვას, არ მაქვს. ამიტომ, ვერ გეტყვით, ეს არის მორიგი ბინძური სცენარი თუ რეალობა და, რომ დასავლეთის პოლიტიკურ დერეფნებში ჩვენზე მეტი ინფორმაცია აქვთ და რაღაცას ელიან. რა თქმა უნდა, ამასაც არ გამოვრიცხავ, მაგრამ დარჩიაშვილისგან ამას ვერ მივიღებ და სულ არ მჭირდება დარჩიაშვილი იმისთვის, რომ კითხვის ნიშნები მეც მქონდეს.

**— გულისხმობთ იმ განსხვავებულ სტილს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ?**

— ის გულწრფელობა, რაც ახასიათებს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, ვერ ეწერება ვერც ერთ ეტიკეტში. საერთაშორისო დონეზე აღიარო, რომ ინფორმაცია სრულად არ მქონდა და მსგავსი რაღაცები, სულ ცოტა, გაკვირვებას იწვევს. მაინც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია შინაარსი, თორემ ასეთ სტილს შეეგუებიან.

მათ თარგზე მოჭრილ სააკაშვილს რაც ასწავლეს, საერთაშირისო ეტიკეტისთვის მისაღები ლექსიკა იყო, რომელიც შემდეგ ევროამერიკელ პოლიტიკოსებს ილუზიებში აგდებდა თავისი გამოსვლებით. აქ გვაქვს მეორე რეალობა, ილუზიებსა და „ნირვანაში“ კი არ გადაჰყავს ივანიშვილს ისინი, „ცივ შხაპს“ასხამს თავისი პირდაპირი და ხისტი სტილით. მათი გადმოსახედიდან ესეც ბადებს კითხვებს — როცა მთელი მსოფლიო ერთ ხელწერასა და ერთ ლექსიკურ მარაგს იყენებს, ასეთი სიახლე შფოთსა და გაუგებრობას იწვევს-ხოლმე, მაგრამ კიდევ ვამბობ, ეს ყველაფერი მოვლადია, თუ მთავარი კითხვა იქნება პასუხგაცემული — რა შინაარსთან გვაქვს რეალურად საქმე?

**— სააკაშვილი ყველა ტრიბუნიდან აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფო ინგრევა და ამაზე ყოველთვის ხმას ამოიღებს. თქვენი შეფასებით, რა ეფექტი ექნება ამას?**

— გააჩნია, ვისგან ვისმენ ამას. სააკაშვილს თავისი მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე არ უფიქრია ქართულ სახელმწიფოზე. ის ფიქრობდა ერთადერთზე — როგორ შეენარჩუნებინა თავი სახელმწიფოს პირველ პირად და სრულიად ნეიტრალური დამოკიდებულება ჰქონდა სიტყვას საქართველოს მიმართ. მთავარი იყო პირველი პირობა თუნდაც იმის ფასად, რომ X სახელმწიფოს X მოქალაქეები ჩაელპო ციხეში, გაეუპატიურებინა, შიმშილით ამოეხოცა და ა.შ. ამ ადამიანს არანაირი მორალური უფლება არ აქვს ამაზე ილაპარაკოს და დაცინვაა მისი მხრიდან ქართული სახელმწიფოს ინტერესებზე საუბარი.

თუმცა, მეორეა რომ კითხვის ნიშნები უნდა მოიხსნას. ივანიშვილი ის ფიგურაა, რომელიც მსოფლიოს 200 წარმატებული ადამიანის რიცხვშია, მისი კონტაქტები ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ამ წარმატებულ ადამიანთა სიაშია, ადვილი წარმოსადგენია, რა მასშტაბის კონტაქტები და რა გავლენები აქვს მსოფლიოს საბანკო და ფინანსურ წრეებში, რომლებიც რეალურად მართავენ მსოფლიოს. მეორე მხრივ, ძალიან დიდი მოლოდინი და ნდობაა მის მიმართ ქვეყანაში. მას და მის ფინანსურ ნაკადებს კონკურენტი არ ეყოლება ძალიან დიდხანს საქართველოში - ძნელად წარმომიდგენია, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც შეძლებს იმავე ფინანსური ნაკადებით დაუპირისპირდეს ივანიშვილს საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად. ეს ყველაფერი აძლევს მას იმის საფუძველს, რომ თავი იგრძნოს ძალიან მყარად, მაგრამ ეს საქართველოა და აქ მუდმივი არავინ და არაფერი არ არის. კიდევ ვამბობ, რაც შეიძლება ნაკლები კითხვები უნდა გააჩინოს თავისი პოლიტიკური კურსის მიმართ, რადგან დაგროვდება და რაღაც მომენტში კრიტიკულ ზღვარსაც მიაღწევს. თუმცა, ვერ ვხვდები, ამაზე რატომ არ ზრუნავს და სწორედ ეს არის ჩემი მთავარი კითხვა.

**ლალი ზირაქიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დასავლური ორმაგი სტანდარტი რადიკალური ისლამის აღორძინების ფონზე

„ურთიერთობაში ის არის თავშეკავებული, მოკრძალებული, შეუძლია საკუთარი თავის მიმართ განაწყოს თანამოსაუბრე, არასდროს კარგავს წონასწორობას, ინარჩუნებს ღირსებას საზოგადოებაში, თავს უფლებას არ აძლევს გააკეთოს მკვეთრი გამოთქმები. მუშაობაში არის რეალისტი და პრაგმატისტი, ამასთანავე, არის ამბიციური და მიზანმიმართული“. ეს დახასიათება შორს არის საქართველოს პირველი პირის დახასიათებისგან. ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან მხოლოდ ერთი — „ამბიციურობა“ მიესადაგება მას. სხვა, ისე შორს არის მისგან, როგორც საქართველო ამ დახასიათების ადრესატ სი ცინპინის ქვეყნის, ჩინეთისგან. მილიარდნახევრიანი ჩინეთის სათავეში მეხუთე თაობაა, რომელსაც სი ცინპინი ხელმძღვანელობს და თუ ფორსმაჟორულ ვითარებას არ ექნა ადგილი, ის 2023 წლამდე, მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის (მოსახლეობის თვალსაზრისით) და აშშ-ს შემდეგ, მეორე ეკონომიკის, მეთაური იქნება.

გასული წლის ნოემბრის კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობამ ძირფესვიანად გადაახალისა პარტიული ხელმძღვანელობა. რეფორმატორ დენ სიაოპინის მიერ ჩამოყალიბებული სისტემით - ხელისუფლების ათწლიანი ციკლი, ახალი ერა იწყება დიდი ქვეყნის ისტორიაში. დღევანდელი სტატიის თემა ჩინეთი და მისი ახალი ლიდერები არ არიან. უბრალოდ სიტყვამ მოიტანა, უფრო ზუსტად დიდი ქვეყნის ლიდერის დახასიათებამ, მასთან ერთად, გარკვეული პარალელის გავლებამ იმ ქვეყნისა და ამ ქვეყნის პირველ პირთა შორის. **საქართველო კარგა ხანია, გადაეჩვია დინჯი, თავაზიანი, თავშეკავებული, ზრდილობიანი ლიდერის, ლიდერების არსებობას. რასაც ჩვენ მიგვაჩვიეს დაუფიქრებელი, სულელური, აუწონავი, შეურაცხმყოფელი, ლანძღვაში გადასული ლაპარაკია — გაელამებული თვალებითა და ტუჩებზე დუჟით.**

**პატარა, არშემდგარი ქვეყნის ლიდერი, უდავოდ, დეფიციტშია, თანაც გამოუსწორებელში და ეს დეფიციტი მის მიერ მართული ქვეყნის სიმცირეა. სიგრძის მიხედვით რომ ყოფილიყო სამართავი ქვეყნის ზომა, სხვა იქნებოდა. საბედნიეროდ, გადავრჩით, თორემ ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ჩვენის მიერ ჩინეთის ლიდერობა, რა დაემართებოდა მსოფლიოს? საინტერესოა, სტრასბურგის დარბაზში შეყრილი ევროპა ასეთ ტაშს შეაგებებდა მას, როგორც ამჟამად? მას იმიტომ ახალისებენ, რომ პატარა, უსუსური ქვეყნის ლიდერია, რომლის დანიშნულება ერთია — მოთმინებიდან გამოიყვანოს მეზობელი რუსეთი. რა შეიძლება ეწოდოს ქვეყანას, რომელსაც სხვა მეტი ვერაფერი მიანდეს „დალოცვილმა“ სტრატეგიულმა პარტნიორმა და მისმა პარტნიორმა ევროპამ?**

რაც მართალია, ჩვენი ლიდერი უდიდესი გულმოდგინებით ასრულებს მინდობილ საქმეს, ხშირად გადამეტებითაც. ამიტომაც მოსწონთ ის დასავლეთში. ამიტომაც უჭერენ მხარს — ფიქრით და იმედით, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ის დაუბრუნდეს ქვეყნის მართვის სათავეებს. სააკაშვილი და მისი ნაციონალური პარტია სერიოზული ძალაა, თანაც ისეთი, რომელიც დასავლელთა მოჭარბებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთთან დასაპირისპირებლად, რაც აშკარად გამოჩნდა სტრასბურგში.

**სააკაშვილი ფასდაუდებელი ექსპონატია. ასეთს ჩაკეტილ სეიფში არ ინახავენ. ასეთს, ზედაპირზე, ყველას დასანახად უქმნიან პირობებს. რომელი ერთი მისცემდა თავს უფლებას, ისეთი პასუხები გაეცა რუსი პარლამენტარების სრულიად კორექტული კითხვებისთვის, რაც სააკაშვილმა გააკეთა? ვერც ერთი, რამეთუ სითავხედე, უზრდელობა და მრავალი ნეგატიური თვისების უქონლობა არ მისცემდა მათ ამის უფლებას. სააკაშვილს არ აქვს მუხრუჭის, თავშეკავების გრძნობა. მისგან, ჩვეულებრივი რამ არის პირადი შეურაცხყოფის მიყენება, ცილისწამება, ლანძღვა. და როდესაც ასეთს ტაშს უკრავენ სტრასბურგის დარბაზში მყოფნი, უდავოდ იფიქრებთ — რა დონისაა ის სანატრელი ევროპა, საითკენაც მიგვაქანებენ ე.წ. პოლიტიკოსები?**

ევროპას რომ უჭირს, თვალნათლივ გამოჩნდა გასულ კვირას ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებაში. მან საჯაროდ თქვა, რომ მორიგი, 2015 წლის არჩევნების შემდეგ, გამარჯვების შემთხვევაში, ის ჩაატარებს პლებისციტს, ევროკავშირში ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით. ამ განცხადებას დადებითად შეხვდა ბრიტანეთის თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, უფრო მეტიც, ზოგიერთმა არჩევნებამდე, თუნდაც უახლოეს მომავალში, მოითხოვა პლებისციტის ჩატარება. ისინი აცხადებენ, რომ არ სურთ ბრიტანეთის საკითხების ბრიუსელში გადაჭრა, სუვერენიტეტის დაკარგვა და მასთან ერთად ეროვნულობის. და ამას აცხადებს ევროკავშირის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი. რა უნდა თქვან პატარა ქვეყნებმა, მოჩვენებით რომ „სარგებლობენ“ პარიტეტით? **არაერთხელ მსმენია ბალტიისპირა ქვეყნების გონიერი პარლამენტარებისგან, რა დონის „დამოუკიდებლობა“ მიიღეს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრებით.**

სააკაშვილის ფენომენი დიდი მონაპოვარია ევროატლანტიკური სივრცისთვის, იმ უდიდესი პოლიტიკური არენისთვის, რომელიც ყველაფერს კადრულობს მოპოვებული პოზიციების შესანარჩუნებლად და რომელსაც დღენიადაგ წყალი უდგება ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, სხვა ქვეყნების მხრიდან.

**ისტორიისთვის 20-25 წელი წამიერი გაელვებაა და ამ წამიერი გაელვების შემდეგ მსოფლიოს მოწინავე ათეულში კარდინალური ძვრები მოხდება. აშშ დათმობს პოზიციებს და ჩინეთის შემდეგ მეორე ეკონომიკის სტატუსს დასჯერდება, მესამე ადგილზე ინდოეთი იქნება. დანარჩენი ადგილები განაწილდება იაპონია, ბრაზილია, რუსეთს შორის. ექვსეულში არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ მოიაზრება, მათ შორის არც გერმანია და არც ინგლისი. მსგავსი პერსპექტივა არ აწყობს არც აშშ-ს და არც ევროკავშირს, მაგრამ რა გაეწყობა, რომ იტყვიან — ძალა აღმართს ხნავს.**

არ გაუმართლა არც ბრიტანელ „რკინის ლედის“ ტეტჩერს და არც აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს ოლბრაიტს — ორივენი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ გასული საუკუნის ბოლოსთვის რუსეთის მოსახლეობა 50-15 მილიონამდე შემცირდებაო. ეს არ იყო მარტო ვარაუდი, ეს მოწოდება იყო რუსეთის დასაშლელად და მისი აურაცხელი სიმდიდრეების დასაპატრონებლად.

**არც დღევანდელ დასავლელ ლიდერებს აუღიათ ხელი ანტირუსულ გეგმაზე, რაც ნათლად გამოჩნდა თუნდაც ისეთი, შედარებით „უმნიშვნელო“ ნიუანსშიც, რასაც რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო ჯანყის მოწყობა ჰქვია. ამ „კეთილშობილურ“ საქმეში დასავლეთმა საქართველოს ხელისუფლება გაჩხირა — სააკაშვილ-თარგამაძის სახით.**

რა შუაშია საქართველო?

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკა მდუმარედ შეხვდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ამ ფაქტის გამომზეურებას. თითო-ოროლა, ზერელე განცხადება არაფრის მომტანია, ისე, როგორც არაფრის მომტანი იყო ზოგიერთი ზედაპირული განცხადება 2010 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით. მაშინ მასობრივი გამოსვლებისთვის თავი არ შეიწუხეს არც პარტიებმა და არც არასამთავრობოებმა. **მაშინ ყველა ბუჩქებში იყო შემძვრალი, თან იმის იმედით — იქნებ რაღაც გადმოგვიგდოს მამა-მარჩენალმაო. მაშინ დაჭერის შიშიც ჰქონდათ. მაშინ ივანიშვილი არ იყო პოლიტიკაში.**

**ივანიშვილის გამოჩენამ შეაძლებინა მათ ქუჩაში გამოსვლა მოთხოვნით — „მიშა, წადი!“ მაგრამ რა ვუყოთ კონსტიტუციას? მიშა ამბობს, რომ არ დაარღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს. დავიგვიანეთ, თანაც არა 2 თვით, არამედ ორი წლით. გარდა ამისა, არ გაიზიარებს ამას „საყვარელი“ ევროატლანტიკური სივრცე. ზოგი ამბობს, შაშიაშვილის აქცია მსოფლიოს თვალს აუხელსო. მსოფლიოს რომ თვალის ახელვა სდომოდა, ადრე გააკეთებდა ამას. მსოფლიო „კოჰაბიტაციისკენ“ მოგვიწოდებს. მისთვის მიუღებელია გამარჯვებულის მხრიდან დამარცხებულის შევიწროება. დასავლეთს ჯერაც ვერ გაურკვევია, საით მიდის ივანიშვილის საქართველო. მისთვის მიუღებელია „ჩიჩიისა და ბაბას“ პოლიტიკა.**

დასავლეთი ეგოისტია. მას სურს, რომ მისმა მოკავშირემ იმ თამაშით ითამაშოს, როგორც მას სურს. ამის გარანტია მას ივანიშვილის მხრიდან არ აქვს. ივანიშვილს არ სურს რუსეთთან დაპირისპირება, პირიქით მასთან ურთიერთობის დალაგების მომხრეა. აწყობს ეს დასავლეთს? დასავლეთს რუსეთის, ახლო აღმოსავლეთის, ირანის, სირიის, ჩინეთის მიმართ, ბევრი კითხვა დაუგროვდა.

თავი და თავი სირიის ომია, რომელმაც სერიოზულ დაპირისპირებამდე მიიყვანა დასავლეთი და ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები. ასეთ ვითარებაში საქართველოს გამორთვა დასავლეთისთვის მიუღებელია. დასავლეთს აშკარად აშფოთებს რუსეთის საზღვაო არმადის მანევრები სირიასთან ახლოს, ხმელთაშუა ზღვაში, რომელშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთის, ბალტიისა და შავი ზღვების ფლოტები. ლავროვის მიხედვით, მანევრები სირიის უსაფრთხოებისთვის არის გამიზნული.

**თვალშისაცემია აშშ-ს და მისი პარტნიორი ქვეყნების ორმაგი სტანდარტები. ბაშარ ასადის ჩამოსაგდებად, ისინი არც ფულს და არც იარაღს არ იშურებენ ისლამისტი „ბოევიკებისთვის“. ერთობ დაძაბული ვითარებაა მალიში, სადაც ისლამისტებს საფრანგეთის ჯარი ებრძვის. მალის მილიონზე მეტი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის საკმაო ნაწილს — ექვსას ათას კვადრატულ კილომეტრს სალაფიტები და ადგილობრივი ტუარეგები ფლობენ. საფრანგეთი ცდილობს განდევნოს ისინი დაკავებული ტერიტორიებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, მეტასტაზებივით გავრცელდება „ალ-ყაიდასთან“ დაახლოებული სალაფიტების გავლენა.**



არაბულ ქვეყნებში აღმოცენებულმა რევოლუციამ ფართო გასაქანი მისცა რადიკალური ისლამის აღორძინებას. გასული წლის სექტემბერში, ქაიროში, აშშ-ს საელჩოზე შტურმის დროს, პირველად გამოჩნდნენ შავი დროშებით მომარჯვებული მოიერიშეები. მას შემდეგ შავი დროშები ფრიალებს ყველგან. ამ დროშებს „სალაფიტების“ ან „ალ-ყაიდას“ დროშებად მოიხსენიებენ. შავი დროშების გამოჩენა ნიშანია იმისა, რომ „მუსლიმანი ძმების“ მიერ განხორციელებულ რევოლუციას მოჰყვება კონტრრევოლუცია, რომელიც ხელისუფლებაში მოიყვანს რეაქციულ ისლამისტურ ძალებს.

**არაბულმა გაზაფხულმა პოლიტიკურ სცენაზე ორი სახის ისლამისტური ჯგუფი წამოსწია - თავშეკავებული, „ძმები მუსლიმანების“ სახით და რადიკალური ისლამი, რომელიც არაბული გაზაფხულის დადგომამდე უმოწყალო დევნას განიცდიდა.** ამ მუსლიმანური ორგანიზაციების წევრები ან ციხეში იყვნენ გამომწყვდეული ან განდევნილი საკუთარი ქვეყნიდან. ბევრ მათგანს დაუსწრებლად ჰქონდათ სიკვდილი მისჯილი. უმრავლესობა იბრძოდა ავღანეთში, ბოსნიაში, ჩეჩნეთში, სომალიში და სხვა. ისინი გადიოდნენ წვრთნას „ალ-ყაიდას“ ბანაკებში. გარდა ამისა, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და თანამშრომლობენ მონათესავე ისლამურ დაჯგუფებებთან „თალიბანთან“, „აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამურ მოძრაობასთან“, „კავკასიის იმარატთან“ და სხვა.

არაბული გაზაფხულის შემდეგ ციხეებში მყოფი სალაფიტები გაათავისუფლეს. გათავისუფლდნენ ყველა ისინი, ვინც ტერორიზმში იყვნენ ბრალდებული. „მუსლიმანი ძმების“ წარმომადგენელმა, ეგვიპტის პრეზიდენტმა მურსიმ ციხიდან გამოუშვა 572 სალაფიტი, ტუნისის ახალმა ხელისუფლებამ — 1200-ზე მეტი. ამასთანავე, მოხდა სხვა ქვეყნებში გადახვეწილი სალაფიტების უკან დაბრუნება. არაბულ ქვეყნებში, დაიწყო „ალ-ყაიდას“ ახალი ფილიალების გახსნა და ძველის აღორძინება.

სალაფიტები ძლიერი პოლიტიკური და სამხედრო ძალაა. დიდია მათი რაოდენობა ეგვიპტეში, სხვა არაბულ და აფრიკის ქვეყნებში. დღეს შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ არაბულმა რევოლუციამ რაც მოიტანა, არის „ალ-ყაიდას“ გაფართოება, ახალ-ახალი სალაფიტური ორგანიზაციების აღმოცენება. მათ დიდი გამოცდილება შეიძინეს ავღანეთის ომში, ჩრდილო კავკასიაში, სხვა ცხელ წერტილებში. დღეს ამ გამოცდილებას იყენებენ სირიის ომში.

**დასავლელი ექსპერტების მიხედვით, სირიაში ექვსი ათასზე მეტი სალაფიტი იბრძვის — ლიბიიდან, ეგვიპტიდან, ერაყიდან, ტუნისიდან, ლიბანიდან, მაროკოდან, იორდანიიდან, პაკისტანიდან, საუდის არაბეთიდან, იემენიდან. ბოევიკთა რიგებშია 300 ჩეჩენი სალაფიტი თურქეთიდან.**

სალაფატიური ორგანიზაციები არა მარტო არაბულ ქვეყნებსა და აფრიკაშია, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპაშიც. ადგილობრივი ხელისუფლების გაღიზიანების აცილების მიზნით, ისინი შენიღბული დასახელების ორგანიზაციებში არიან გაერთიანებული.

რელიგიური თავისუფლების მოტივით, რომელსაც სალაფიტები უარყოფენ ყველა არასალაფიტის, მათ შორის ქრისტიანის და ისლამის სხვა მიმდევართა, მაგალითად, შიიტების მიმართ, ისინი მოითხოვენ ისეთი შარიათის შემოღებას, როგორიც მათ სურთ არა მარტო თავისთვის, არამედ ყველა იმ საზოგადოებისთვის, რომელმაც შეიკედლა ისინი — საფრანგეთის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის და სხვა.

ყველა სალაფიტური ორგანიზაცია ჩართულია „ალ-ყაიდას“ გლობალურ ქსელში. სალაფიტური ორგანიზაციების წევრები, რომლებიც ცხოვრობენ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, სხვაგან, მიემგზავრებიან ავღანეთში, ვითომდა ტურისტებად ან რელიგიური სწავლების თვალსაზრისით. სინამდვილეში, იქ ყოფნის დროს, გადიან დივერსიულ-ტერორისტულ მომზადებას. შემდეგ ბრუნდებიან უკან და ქმნიან ე.წ. „მიძინებულ ჯგუფებს“, რომელთაც ხელისუფლება ვერაფერს წაუყენებს.

„მიძინებულები“ ხშირად მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ამა თუ იმ ტერორისტულ მოქმედებაში. მაგალითად, სირიაში მონაწილეობენ ბოევიკი სალაფიტები ევროპის ქვეყნებიდან, მათ შორის საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან. მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სირიელთა ბედს. ცხადია, „ალ-ყაიდა“ — სალაფიტ ბოევიკებში არიან სირიელი სალაფიტებიც, რომლებიც, გარდა ბრძოლებში მონაწილეობისა, მეგზურობასაც უწევენ უცხოელ მებრძოლებს. „ალ-ყაიდა“ და სალაფიტები აქტიურად მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნებში „ისლამური საამიროების“ ჩამოყალიბებაში, მათ შორის ავღანეთში, იემენში, სომალიში, ტუნისში, ეგვიპტეში.

2009 წელს სალაფიტებმა პალესტინის ავტონომია — ღაზის სექტორის ქ.რაფახში შექმნეს „ისლამის საამირო“, თუმცა, მას დიდხანს არ უარსებია. „ჰამასმა“ ის გაანადგურა, ლიდერ აბდელ-ლატიფ მუსასთან ერთად. მსგავსი ორგანიზაცია ჩრდილო კავკასიაშიც არსებობს — „კავკასიის იმარატის სახელწოდებით. „ისლამური საამიროები“ არსებობენ იორდანიაშიც, საუდის არაბეთშიც, სხვაგან.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან ეგვიპტეში არსებული სალაფიტური დაჯგუფებები. მათი აქტიურობის არეალი სინაია. ამ ტერიტორიაზე ორი ათასზე მეტი შეიარაღებული სალაფიტი „ბოევიკია“ - ძირითადად უცხოელები — მიზანი ერთია — კალზამის (კლიზმის) ისლამის საამიროს დაარსება. წინათ სუეცს ეს სახელი ერქვა. საამიროს დაარსებით, გამიზნულია სუეცის არხის კონტროლი, რაც თავისთავად საუდის არაბეთის მონარქიის ინტერესებშია. სუეცის არხზე გადის ნავთობის მარშრუტი. და ირანთან სამხედრო კონფლიქტის, ორმუზის და მთლიანად სპარსეთის ყურის ბლოკადის შემთხვევაში, სუეცის არხის ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზრდება.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეგვიპტის რევოლუციის შემდეგ, რევოლუცია არ ჩამცხრალა. პირველი რევოლუცია, რომელიც „ძმები მუსლიმანების“ აქტიურობის შედეგი იყო, მეორე რევოლუციით, ანუ რადიკალურით, სალაფიტურით შეიძლება ჩანაცვლდეს. დღეს ამის ყველა პირობა არსებობს. და თუ ეს მოხდა, ეგვიპტელები რეგიონის მონარქისტულ რეჟიმებს უნდა უმადლოდნენ, რომლებმაც XX საუკუნის 70-იან წლებში ჩანერგეს სალაფიზმი ამ ქვეყანაში.

**გეოპოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასია, მათ შორის საქართველო დიდ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა ისლამისტური, რელიგიური მოძრაობის მხრიდან. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, დასავლური თუ აღმოსავლური რელიგიური სექტების არაერთი წარმომადგენელი მოაწყდა საქართველოს, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ირანელები. მიზანი იყო და არის ერთი - საზოგადოების მათ მხარეს გადაბირება, რისთვისაც არ იზოგება თანხები, პროპაგანდისტული ლიტერატურა, გადაბირებულთა დასავლურ თუ აღმოსავლურ სასწავლო ცენტრებში მივლინება და სხვა.**

**გარკვეული სახის „რელიგიური“ ორგანიზაციების წარმომადგენლები თბილისის აეროპორტშიც აქტიურობენ, განსაკუთრებით ირანის რეისების მგზავრებთან მიმართებაში — ურიგებენ რა მათ ირანის სახელმწიფო პოლიტიკის საწინააღმდეგო პროპაგანდისტულ მასალებს. მსგავსი ქმედება უდავოდ არასპონტანურია, მას ორგანიზებული ხასიათი აქვს.**

**კარგა ხანია, ირანი იყო და არის დასავლური თუ აღმოსავლური პოლიტიკის ყურადღების ცენტრში, რაც ამ ქვეყნის დამოუკიდებელი კურსის შედეგია. ეს ქვეყანა თებერვალში იზეიმებს რევოლუციის გამარჯვებას. დღიდან რევოლუციისა, ირან-ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია და ირანი ამერიკის ნომერ პირველ მტრადაა გამოცხადებული, რაც მარტო დეკლარირებით არ იფარგლება. მას ანტიირანული, თანაც ყოველმხრივი, მოქმედებაც ერთვის.**

**აშშ-მა, რომელმაც ღრმად ჩაჰყო ფეხი ამიერკავკასიაში, მაქსიმალურად ცდილობს პოტენციური მეტოქეების — რუსეთისა და ირანის გავლენის შემცირებას. გეგმა მულტიმიმართულებიანია. მასში გამოყენებულია, როგორც რელიგიური, ისე ინტელექტუალური, პროპაგანდისტული ფაქტორები. სწორედ ამერიკული უნივერსიტეტების აქტიურობის ნაყოფი იყო საქართველოში ჩატარებული არაერთი კონფერენცია — მიძღვნილი ჩერქეზთა გენოციდისადმი. შედეგი — საქართველომ აღიარა ჩერქეზთა გენოციდი, რითაც უფრო დაძაბა ისედაც დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან.**

ირან-საქართველოს სავიზო რეჟიმის გაუქმებას საქართველოს ექსპერტობა ერთობ რეაქციულად შეხვდა — ისლამისტები შემოვლენ საქართველოშიო. სავიზო ბარიერების მოხსნა-გაიოლებამ თავისთავად გააადვილა ქვეყნებს შორის მიმოსვლა. ტურისტულ ტალღას სხვადასხვა ჯურის ადამიანებიც მოჰყვებიან, რაც არა მარტო საქართველოში ხდება. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული მსგავსი ხასიათის ჯგუფების შემოსვლა, **მაგრამ თვით ირანის ხელისუფლება აქტიურად იბრძვის რელიგიური სექტების, რადიკალური ისლამის მიმდევართა წინააღმდეგ. ირანისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო და არის „ალ-ყაიდა“, სალაფიტური დაჯგუფებები, რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციები.**

**ექსპერტთა მხრიდან ირანის მისამართით გამოთქმული მოსაზრება ცრუ ინფორმაციას ემყარება, ამასთანავე, დასავლეთის მიერ დაგუბებულ პროპაგანდისტულ მღვრიე გუბეში თავით გადაშვებას ნიშნავს.**

საზღვრების გამჭვირვალობა 21-ე საუკუნის მონაპოვარია. ის უდავოდ ხელს უწყობს ხალხთა ურთიერთობას, სავაჭრო, პოლიტიკური, კულტურული კავშირების გაფართოება-განმტკიცებას. პროცესის შეჩერება ნებისმიერი ქვეყნისათვის, გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ალბანიზაციის მომასწავებელი იქნება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სააკაშვილის მომხრეები მზად არიან დაიცვან იგი

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მომხრეთა ჯგუფმა სოციალურ ქსელებში გაავრცელა წერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მისი პროდასავლური კურსის მხარდასაჭერად.**

საინიციატივო ჯგუფი გამოთქვამს შეშფოთებას ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მოქმედებებით, „რომელმაც გამოუშვა ციხიდან რუსი აგენტები“, გამოთქვა მზადყოფნა — დაიცვას დემოკრატიული ღირებულებები და საქართველოს ევროპული მომავალი, რაც დაკავშირებულია ხელისუფლებაში არა „ქართული ოცნების“ მოსვლასთან, არამედ იმასთან, რომ „ჩვენს თვალწინ ცდილობენ, დაანგრიონ დემოკრატიული სისტემა და მოახდინონ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინა მოდელის რესტავრირება“.

„ათავისუფლებენ სისხლის სამართლის დამნაშავეებს და უცხოეთის აგენტებს, აგებენ საბჭოთა დიქტატორების ძეგლებს (საქართველოს რამდენიმე სოფელში აღდგა სტალინის ძეგლები), ღებულობენ სამარცხვინო კანონებს, პოლიტიკურ ოპოზიციას კი აშინებენ და სდევნიან... ჩვენ არ შეგვიძლია, დავუშვათ მოვლენათა ასეთი განვითარება ჩვენს ქვეყანაში. კანონიერების დაცვისთვის, კონსტიტუციის პატივისცემისა და საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფისთვის ბრძოლაში ჩვენ მხარს გვიჭერს ასობით ათასი ადამიანი, რომელთათვისაც არ არის სულ ერთი ჩვენი სამშობლოს მომავალი...“ — ნათქვამია მიხეილ სააკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში და გამოთქმულია მზადყოფნა დაუპირისპირდნენ პრეზიდენტის დისკრედიტაციისკენ მიმართულ აქციებს, რომლებსაც აწყობენ მისი მტრები.

რაღაც ამგვარი საქართველოში უკვე იყო. გასული საუკუნის ბოლოს ქვეყანა მოიცვა მიტინგებმა პირველი პოსტსაბჭოთა პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დასაცავად და მის წინააღმდეგ. დღეს აქციები მიმდინარეობს ჯერჯერობით ცალმხრივად — მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა უსწრაფესი შეწყვეტისთვის. რამდენიმე მიტინგი ახალი ხელისუფლების მიერ პრეზიდენტის გუნდის დაპატიმრებულ წარმომადგენელთა მხარდასაჭერად მცირერიცხოვანი გამოვიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და სააკაშვილის მომხრეებს შეუძლიათ, მოაწყონ თავიანთი პოზიციების ბევრად უფრო ეფექტიანი საჯარო გამოვლენა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ერთმანეთი ორმა მსოფლმხედველობამ გადაკვეთა. დეპუტატის სიტყვებით, მათი თვალსაჩინო გამოვლინება იყო სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე პრეზიდენტისა და დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე პრემიერ-მინისტრის გამოსვლები. „სააკაშვილი სტრასბურგში აცხადებს, რომ საქართველოში გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები დემოკრატიის განმტკიცებისა და განვითარების მიმართულებით, მაგრამ ახალი მთავრობის შერჩევითი უფლებები და ზემოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ხელს არ უწყობენ ამ პროცესს, ამიტომ საქართველოს სჭირდება მეგობარი ქვეყნების დიდი ყურადღება. ივანიშვილის გამოსვლა დავოსში, რომელმაც უკანასკნელი წლების ყველა ეკონომიკური მიღწევა მიიჩნია ბლეფად, გვიჩვენებს, რომ პრემიერს სხვაგვარად ესმის სამშობლოს სამსახური“, — განაცხადა დარჩიაშვილმა.

მისი განცხადებით, საფრთხე, რომელსაც მიიჩნევდნენ დაძლეულად, სინამდვილეში აღორძინდა — საქართველოს შეუძლია, დაბრუნდეს რუსეთის ძლიერი გავლენის ქვეშ ზედა ფენებში საკადრო პოლიტიკის შეთანხმებამდეც კი. სწორედ ამით ხსნის დარჩიაშვილი ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას პოლიტიკური აქტივიზაციის მოულოდნელ მცდელობას. იგი უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა უცხოეთში და განაცხადა საქართველოში ფაქტობრივად პრორუსული პარტიის გეგმების შესახებ. მიხეილ სააკაშვილი ხშირად იხსენებს სწორედ ამ პერსონას, რომლის გამოც მას გაუჩნდა პირველი უთანხმოებანი რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან. მისი სიტყვებით, მისი მოსკოვში პირველი ვიზიტის დროს ვარდების რევოლუციის შემდეგ, რუსეთის ლიდერმა რეკომენდაცია მისცა მას დატოვოს თანამდებობაზე „კარგი ბიჭი ხაბურძანია“. „მე დავბრუნდი თბილისში და პირველი, რაც გავაკეთე — დავნიშნე სახელმწიფო უშიშროების ახალი მინისტრი“, — არაერთგზის განუცხადებია საქართველოს პრეზიდენტს. ახლა, როგორც დავით დარჩიაშვილი აღნიშნავს, „ევროსაბჭოში გარდა საკომიტეტო და პლენალური სხდომებისა მიმდინარეობს კულუალური საუბრებიც, რომლებიც მოწმობენ რუსეთელთა ოპტიმისტურ განწყობილებაზე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობების აქტივიზაციისთვის. რუსეთის გავლენის ზონაში დაბრუნების საფრთხის შესახებ საუბრობდა თავად სააკაშვილიც, რომელიც კვირის დასაწყისში შეხვდა აფხაზეთის უნივერსიტეტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს. „მოხდა ამნისტია და გათავისუფლებული აღმოჩნდნენ სამხედრო ამბოხებათა მონაწილეები, ბანდიტები, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები, რომლებიც საქართველოს დანგრევაზე მუშაობდნენ... გაათავისუფლეს ვაჰან ჩახალიანიც, რომლის სახელიც დაკავშირებულია ჯავახეთში სეპარატიზმთან. თავის დროზე რომ დაეპატიმრებინათ არძინბა, აფხაზეთში არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა... მაგრამ ზოგიერთებს უგებენ ძეგლებს, და დღეს რუსეთის დაზვერვის მთავარი სააგენტოს აგენტი ჩახალიანი თავისუფალია, თუმცა, ციხეში კიდევ ხუთი წელი რომ მჯდარიყო, უკვე არანაირ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა საქართველოსთვის“, — თქვა სააკაშვილმა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კონკრეტულად ზოგიერთი პატიმრის შესახებ, რომლებსაც შეეხო კანონი ამნისტიის შესახებ, იგი პირადად და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სხვა ლიდერები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ახალ ხელისუფლებასთან, უხსნიდნენ მას, თუ როგორ საფრთხეს წარმოადგენენ ისინი საქართველოსთვის და რამდენი ძალა და ენერგია დაიხარჯა თავის დროზე მათი ნეიტრალიზაციისთვის, თუმცა, ამაოდ. მაგრამ კვლავ დუმილი, როდესაც ჩვენს თვალწინ ინგრევა საქართველოს სახელმწიფოებრიობა, როდესაც ხდება მიღწევათა ნიველირება, არ შეიძლება, მიაჩნია სააკაშვილს.

საქართველოს პრეზიდენტის განგაშს საქართველოს რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის ზონაში დაბრუნებასთან დაკავშირებით იზიარებენ დასავლეთშიც. ამერიკულმა კერძო ანალიტიკურმა კომპანიამ „სტრატფორმა“ გამოაქვეყნა პროგნოზი 2013 წლისთვის, რომელშიც გააფრთხილა თბილისი საგარეო-პოლიტიკური შემობრუნების შედეგების შესახებ. მოხსენებაში, რომლის ციტირებასაც ახდენს მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება, ნათქვამია, რომ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე მილიარდერ ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის „ქართული ოცნების“ გამოსვლამ გააძლიერა რუსეთის გავლენა უმთავრესად ანტირუსული ბანაკის დასუსტების ხარჯზე, რომელსაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში. პრეზიდენტის არჩევნები ოქტომბერში და ცვლილებანი კონსტიტუციაში საშუალებას მისცემენ ივანიშვილს, 2013 წელს ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. „იმდენად, რამდენადაც თბილისის საგარეო-პოლიტიკური კომპასი არ მიუთითებს დასავლეთსა და ნატოზე, პირიქითაც კი — ყველაფერი მიდის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ, საქართველო 2013 წელს ეწევა რისკს — აღმოჩნდეს არასასიამოვნო სიტუაციაში, ვინაიდან ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ შეიძლება გამოიწვიოს დაძაბული ურთიერთობა სხვა რეგიონალურ მოთამაშეებთან, რომლებიც შეშფოთებული არიან რუსეთის გავლენის ზრდით, მაგალითად, აზერბაიჯანთან“, — მიაჩნიათ ექსპერტებს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

### კლინტონმა გამომშვიდობებისას გალანძღა რუსეთი ობლების, არაკომერციული ორგანიზაციებისა და ასადის გამო

სახელმწიფო მდივანმა, რომელიც პარასკევს ტოვებს თავის პოსტს, ტრაგედია უწოდა რუსეთის გადაწყვეტილებას, აუკრძალოს ამერიკელებს მისი ობლების შვილებად აყვანა. კლინტონის აზრით, რუსეთის ფედერაციამ თავად მიაყენა დამარცხება თავის თავს, როგორც „უსაიდის“ გამოდევნის შემთხვევაში. ვაშინგტონმა ამ დღეებში შეაჩერა „განტვირთვის“ ერთ-ერთი პროექტი. პრესამ კი გაიგო, რომ ორმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ თავისი თანამშრომლების საფრთხის გამო გაიყვანა ისინი რუსეთიდან თავიანთ ოჯახებთან ერთად.



### კატები საშინელი საფრთხე აღმოჩნდნენ ბუნებისთვის: მილიარდობით ცხოველს ხოცავენ

ამერიკელი ბიოლოგები მოუწოდებენ მოსახლეობას, დაფიქრდნენ და ნაკლებად უსაფრთხოდ გაუშვან თავიანთი კატები სეირნობის დროს, რომლის დროსაც მათი მსხვერპლი ხდება ფრინველების, თაგვების, ციყვებისა და სხვა ცხოველების უზარმაზარი ოდენობა. მეცნიერები სთხოვენ ყველა გულგრილს, თუ თავიანთ საყვარელ ცხოველებს ოჯახურ პატიმრობას არ მიუსჯიან, მათ ეჟვნები მაინც გაუკეთონ.



### „მაგატე“ უარყოფს ცნობას ფორდოში ირანის ბირთვულ ობიექტზე ძლიერი აფეთქების შესახებ



ურანის გამამდიდრებელ ქარხანაში აფეთქების შესახებ იტყობინებოდა ირანის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი. მისი სიტყვებით, ინციდენტი მოხდა ჯერ კიდევ 21 იანვარს. მაგრამ ირანის ხელისუფლება ამას უარყოფს. „მაგატეს“ ცნობა ადასტურებს ოფიციალურ ვერსიას.

### არჩევნების წინ ზიმბაბვეს დაცარიელებულ ხაზინაში 217 დოლარიღა დარჩა

ასეთი სიტუაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ხელისუფლებამ ხელფასი გადაუხადა ბიუჯეტის მოსამსახურეებს. ზიმბაბვეს ფინანსთა მინისტრმა აღიარა, რომ სახელმწიფო ფინანსები პარალიზებულ მდგომარეობაშია. ერთადერთი იმედი საერთაშორისო გაერთიანებაა.



### ალაბამაში დამნაშავემ დახვრიტა სკოლის ავტობუსის მძღოლი და გაიტაცა ბავშვი




თვითმხილველთა სიტყვებით, მამაკაცი შევიდა სკოლის ავტობუსში, რომელსაც მოსწავლეები მიდლენდსიტის ერთ-ერთი სკოლიდან გადაჰყავდა, და მძღოლს მოსთხოვა გადაეცა მისთვის ორი ბავშვი ექვსიდან რვა წლამდე. როდესაც უარი მიიღო, მან ესროლა მძღოლს, შემდეგ ხელი წაავლო ავტობუსში მყოფ ექვსი წლის ბიჭს და მასთან ერთად გაუჩინარდა .

### გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეციალურმა წარმომადგენელმა სირიის საკითხებში შესთავაზა შეიტანონ ცვლილებები ჟენევის კომუნიკეში

ეს დოკუმენტი ითვლებოდა საბაზოდ სირიის რესპუბლიკაში კრიზისის მოსაწესრიგებლად. ლიხდარ ბრახიმი შეთანხმებას, რომელსაც მიაღწიეს შვეიცარიაში 30 ივნისს შეხვედრის დროს, უწოდა „არასაკმარისი“. მისი აზრით, საჭიროა გასაგები გახდეს კომუნიკე, „გავათავისუფლოთ იგი არაერთმნიშვნელოვანი განსაზღვრებებით“.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ დედაქალაქი

# თბილისის მერის ყვითელი სნეულება

**სამარშრუტო ტაქსების საკითხი თბილისში მოუგვარებელი დიდი ხანი რომ არის, ამის თაობაზე დედაქალაქის მკვიდრებმაც, სტუმრებმაც დიდი ხანია ვიცით. თუ რატომ გახდა ქალაქში გადაადგილების ელემენტარულად მოსაგვარებელი საკითხი პრობლემა, სხვა თემაა, რომლის შესახებ არაერთგზის ითქვა. მიუხედავად ამისა, ყველანი მაინც**



**პრობლემის წინაშე ვდგავართ, რაც მოქალაქეთა, ჩამობრძანებულ სტუმართა გადაადგილებასთანაა დაკავშირებული.**

ხალხის გადაზიდვასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიის მიერ ჩატარებული ტენდერის გარკვეულ ვითარებებთან დაკავშირებულ ნაკლებად სანდო ამბებზე ჩვენს გაზეთშიც არაერთხელ გვითქვამს, კოლეგებსაც მრავალჯერ აღუნიშნავთ. ამ თემაზე ამჯერად იმის გამო ვლაპარაკობთ, რომ სისტემაში მომსახურე ხალხი ჯანყადაა გამოსული მერიასთან — მძღოლები, ვისაც მგზავრთა მომსახურება აკისრია (უდიდესი პასუხისმგებლობაც ეკუთვნის!), მათ მიერ წაყენებული მოთხოვნების მიმართ თბილისის მერიის დამოკიდებულებით უკიდურესად უკმაყოფილოა. თუმცა კი „უკმაყოფილება“ ამ შემთხვევაში, ვერც გამოხატავს იმ აღშფოთებას, რომელსაც დარგში მომუშავე ხალხს თბილისის მოსახლეობა უერთდება.

თუ კონკრეტულად ვიტყვით, მძღოლებს, მომიჯნავე დარგებში მომუშავე პერსონალს, ჩამოყალიბებული, კონკრეტული პრობლემები აქვთ, რომელთა გადაჭრას დედაქალაქის მერიასთან აგერ უკვე ლამის ერთი კვირაა თბილისის „მამებისგან“ გადაჭრას მოითხოვენ. სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა მოთხოვნები სავსებით კონკრეტულია: დაწესებული ფიქსირებული 80-ლარიანი გადასახადის მაგივრად 10 ლარამდე შემცირების, რისი მიზეზი სავსებით გასაგებია — მოსახლეობას ხელოვნურად გაბერილი მგზავრობის საფასურის გადახადის ნაკლები შესაძლებლობა აქვს. უმნიშვნელოვანესი მომენტია ავტომანქანების მძღოლებისთვის ტექნიკური მომსახურების მიღება, რისი ხარჯის გასტუმრება საკუთარი სახსრებით უწევთ, რაც მათ შემოსავალზე აისახება.

სალაპარაკოდ იქნებ არც ღირდეს ყოველივე, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, მაგრამ ყველაფერი ჩვენს არც თუ დალხენილ ყოფაზე აისახება, თან კიდევ ერთი ნაკლებად მოსაწონი გარემოება ისაა, რომ პროტესტის გამომხატველ მუშაკებს, მათ გვერდით მდგომ ჩვენს თანამოქალაქეებს, კომპეტენტური, რეალურად საქმეში ჩახედული, და, ყველაზე მთავარია, გადამწყვეტი პირი პირდაპირ არც ელაპარაკებოდა. მართალია, 29 იანვარს მძღოლებს მერიის ტრანსპორტის სამსახურის თავკაცი აკაკი ჯოხაძე შეხვდა, თუმცა კი საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა. გუშინ კი პროტესტის გამომხატველ მძღოლებს თავიანთი კოლეგები დაუპირისპირეს, რომლებმაც მუშაობის დაწყება დააპირეს, მაგრამ შემდგომ ამის გაკეთება გადაიფიქრეს.

როდემდე გაგრძელდება ჩვენი გადასახადებით დაფინანსებული ჩინოვნიკების ასეთი საქციელი, სიმართლე გითხრათ, არ ვიცით. თუმცა კი იმედს გამოვთქვამთ, რომ მეტად აქტუალური, უაღრესად მტკივნეული საკითხი კონსტრუქციული დიალოგით, საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით გადაწყდება.

**ოთარ ტურაბელიძე,**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ ინტერნეტიდან

# „თბილისელებო, სირცხვილია ასეთ უზნეო და უზრდელ მერს რომ ვიტანთ!..“

**„უგულავამ დღეს იკითხა საჯაროდ: „როდის დაანებებს პროკურატურა ჩუკენობას** (ანანიზმს — **ნ. ნ.**) **თავსო“,** — ასეთი პოსტი დადო ფეისბუქზე შალვა რამიშვილმა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გთავაზობთ კომენტარებს:

„უგულავავ, შენ და ვანოს როცა დაგიჭერს — მაშინ დაანებებს!“

„დავიღალე ლოდინით“...

„სიტყვა „ჩუკენობა“ საიდან იცის?“



„უყურეე შენ, ეგ უზრდელიც ყოფილა თურმე!“

„საერთოდ უბედურება ისაა, რომ ამას კიდევ კითხვის უფლება აქვს...“

„ყველა სტრიპტიზ კლუბი შემოიარა და კიდე მთავრობას აბრალებს ჩუკენობას...“

„ჩუკენობასო, ეტყობა ძველი სტიქაროსანი რომ არის, ამით ალბათ ამაზე უნდოდა ხაზის გასმა!!! გეთანხმები, შალვა, 100 პროცენტით...“

„ისე, კარგი იქნება, კანონმდებლობის ჩარჩოში დარეგულირდეს სიტყვების რახარუხი, ჯარიმები შემუშავდეს სხვადასხვა კონტექსტში არასათანადოდ გამოყენებული სიტყვების გამო.. სიტყვა შინაგან სამყაროს წარმოადგენს, რასაც იძახი, ეგ ხარ ფაქტობრივად... როგორც კი სიტყვები დარეგულირდება, ქცევაც შეიცვლება და ცნობიერებაც ამაღლდება“..

„უგულავა რეალური სექსის მოლოდინშია — ნუ აწვალებთ!“

„ჩახალიანის გამოშვება ჩუკენობის რომელ კატეგორიაში გადის?“

„გიგი გრძნობს საშიშროების მოახლოებას და ძრწის შიშით. ეპატიება ეგ სიტყვები. ისე, რა სექსუალური მანიაკები არიან ეს ნაცები, სხვაზე ვერაფერზე ვერც საუბრობენ და ვერც აზროვნებენ. ალბათ, უჭირთ მაგ სფეროში.“

„კაცად დარჩენა რომ ძნელია, გიგი, შენზე მივხვდი...“

„თბილისელებო, სირცხვილია ასეთ უზნეო და უზრდელ მერს რომ ვიტანთ...“

„მართალია გიგი! სანამ მაგისნაირები გარეთ არიან, ყველაფრის ღირსია პროკურატურა. ნუღარ ელოლიავება გიგიებს და ვანოებს, ხომ ხედავს, მაინც არ უფასებენ და დაიჭიროს დროზე!“

„დიახ, ჯერ კრიმინალი უნდა ჩამოაცილო ხელისუფლებას, დაიჭირო და შემდეგ გააკეთო საქმე, თუმცა არჩევნების შემდეგ ნაცმოძრაობის ხელის შეშლის მიუხედავად, ბევრი კარგი რამ გაკეთდა...“

„ნაცებს რაც უფრო გაგებით და პატიებით მოვეკიდებით, უარეს იტყვიან და უარეს გააკეთებენ! ესენი არ უნდა დაინდოოო! ბატონო ბიძო, ბოლომდე უნდა დააჩმორო ნაცები... ევროპა რასაც უნდა, მაინც ლაპარაკობს, მთავარია ჩვენ, ხალხი რას ვიტყვით“...

„როდის?! უკვე რევანშისტული აზრები აწუხებს მავანს.“

„ეს იცით რის ბრალია? „პარდონით“ რომ იჭერენ ნაცებს. ერთიანად უნდა გასამართლდნენ და თანაც სასწრაფოდ. ამოვიდნენ ყელში. უგულა კი ვისი ფულებით გულაობდა ლასვეგასში, იმაზე გასცეს პასუხი ხალხს. ნაძირალა!“

„როგორ გამოდის და ასე უტიფრად ილანძღება ეს თავხედი, ნერვები დამაწყდა წეღან მაგის უნამუსო სახის ყურებისას, გუშინ კიდე — იმ თავხედი გაბაშვილის და კუბლაშვილის. ხალხი მანამ ვერ დაისვენებს, სანამ ეს გარეწრები ისევ გვიშლიან ნერვებს ტელეეთერებიდან.“

„აღარ დადგა დრო, პროკურატურამ საკადრისი პასუხი გასცეს ამათ უზნეობას? ეხლა ყველა ქართველის შეურაცხყოფაზე გადავიდნენ. ნამეტანი ლოიალობაც არ ვარგა.“

„ესენი ემსგავსებიან ვირთხებს კასრში......მალე ერთმანეთს დაჭამენ და ყველა ერთად — არქიფოს.“

**ნატა ნიგლაძე**

◉ პრობლემა ჯერ ვერ მოგვარდა




# მეტრო გაფიცვისთვის ემზადება?!

**გამორიცხული არ არის, დედაქალაქში გადაადგილება საერთოდ შეუძლებელი გახდეს. თბილისი სატრანსპორტო კოლაფსის წინაშეა. უკვე მეხუთე დღეა, გაფიცულ ყვითელ „მარშრუტკებს“, შესაძლოა, მეტროს თანამშრომლები შეუერთდნენ. მეტროპოლიტენის მემანქანეები ამის შესახებ უკვე დაუფარავად საუბრობენ.**

მეტროს თანამშრომელთა მთავარი მოთხოვნა ფინანსური და ბიუროკრატიული პრობლემების მოგვარებაა.

**„მეტროსა და ავტობუსების მძღოლებმა ჩემთან საუბარში აღნიშნეს, რომ აპირებენ გაფიცვას შეუერთდნენ“,** — აღნიშნა პარტია „საქართველოს გზის“ წევრმა მამუკა ბალიაშვილმა, რომელიც გაფიცულებსა და მერიის წარმომადგენლებს შორის საერთო ენის გამონახვას ცდილობს.



ჟურნალისტებთან პირად საუბარში მეტროს თანამშრომლები მართლაც აცხადებენ, რომ ისინი „თბილისის ავტობუსის“ მძღოლებს მხარს დაუჭერენ და მალე გაიფიცებიან. გარდა იმისა, რომ ეს სოლიდარობის აქცია იქნება.

**მეტროს გაფიცვის საშიშროება მაშინაც შეიქმნა, როცა რამდენიმე თვის წინათ ავტობუსების მძღოლები გაიფიცნენ, მაგრამ მაშინ ახალი ხელისუფლება ჩაერია და პროცესი დროებით გადაიდო. როგორც ჩანს, ეს დრო ახლა დადგა. მეტროს თანამშრომლები ღიად პოზიციის დაფიქსირებისგან თავს იკავებენ, მაგრამ ამბობენ, რომ მათი მთავარი მოტივაცია, ადამიანური ხელფასი და ზეგანაკვეთურის ანაზღაურებაა.**

ჯერჯერობით კი თბილისი ნაწილობრივ არის პარალიზებული, რადგან მიკროავტობუსების მძღოლთა გაფიცვა და პროტესტი უკვე მეხუთე დღეა გრძელდება და მის დასრულებას პირი არ უჩანს.

მძღოლების უფლებების დაცვის საინიციატივო ჯგუფის წევრის ლაშა ჩხარტიშვილის ინფორმაციით, თბილისის მერიაში, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ და თბილისის მერიის ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელობასთან გაფიცულების შეხვედრა უშედეგდ დასრულდა. ვერ შედგა შეთანხმება ძირითად საკითხზე, რაც გულისხმობს ყოველდღიური გეგმის განსაზღვრას მძღოლებისთვის.

ჩხარტიშვილის თქმით, გარკვეული წინსვლა მოლაპარაკებებში არის სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, ინდმეწარმის სტატუსის მოხსნა მძღოლებისთვის. თუმცა, მძღოლები მათთვის მთავარ პრობლემად გეგმის საკითხს ასახელებს და ვინაიდან ამ თემაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ისინი გაფიცვას კვლავ განაგრძობენ.

**„თითქმის ვერაფერზე შევჯერდით იქიდან გამომდინარე, რომ აუცილებელია შეხვედრებს ესწრებოდეს მესამე პირი, რომელიც არის „თბილისის მიკროავტობუსი“. პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან რთული და მძიმე იქნება ჩვენი მოლაპარაკებები“,** — განაცხადა საინიციატივო ჯგუფის წევრმა გოჩა მაქაძემ.

მისივე თქმით, მერიის მხრიდან ძალიან ბევრი შემოთავაზება იყო, რაზეც მძღოლები დაფიქრდებიან და შეჯერდებიან.

**„მისაღები ამ ეტაპზე არც ერთი საკითხი არ არის, თუმცა, შესაძლებელია მოხდეს შეთანხმება იგივე საგადასახადო სისტემებზე, მანქანის მომსახურებასა და ტარიფებზე“,** — განაცხადა მაქაძემ.

როგორც მერიის ტრანსპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა აკაკი ჯოხაძემ განმარტა, მერიას აქვს კონკრეტული პოზიცია და აპირებს პარლამენტში წარადგინოს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც მძღოლებისა და დამქირავებელი კომპანიის ურთიერთობას დაარეგულირებს.

**დედაქალაქის მერმა უკვე წერილობით მიმართა პარლამენტს ინიციატივით, რომელიც გულისხმობს მძღოლებისათვის ყოველდღიურად ფიქსირებული გადასახადის დაწესებას, არაუმეტეს 10 ლარისა. საქმე ეხება იმ გადასახადს, რომელსაც მძღოლები, როგორც ინდმეწარმეები იხდიან.**

**„ამ ინიციატივის გაზიარების შემდეგ ეს მნიშვნელოვანი მატერიალური შეღავათი იქნება მძღოლებისათვის“,** — აღნიშნა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ირაკლი აბესაძემ.

აქამდე მძღოლებისთვის ფიქსირებული გადასახადი არ იყო დაწესებული და ისინი გადასახდებს შემოსავლების მიხედვით პროცენტულად იხდიდნენ.

**ეკა ბაქრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭიდაობა



# ცენოვმა ევროპისთვის მზადება შეაფასა

**საქართველოს დედაქალაქი 19-24 მარტს მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადებასთან დაკავშირებით თბილისს ევროპის ჭიდაობის ფედერაციის დელეგაცია ეწვია პრეზიდენტ ცენო ცენოვის ხელმძღვანელობით. სტუმრებმა მოინახულეს სპორტის სასახლე და თბილისის ის სასტუმროები, რომლებიც ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებენ.** შემდეგ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან, სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანთან და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ლერი ხაბელოვთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შეხვდნენ.

„ევროპის ჩემპიონატისთვის მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობასთან საკმაოდ მჭიდრო და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. დარწმუნებული ვარ, მომავალ შეჯიბრებას თბილისი, ტრადიციულად, უმაღლეს დონეზე უმასპინძლებს“, — განაცხადა ცენო ცენოვმა.

**ვაჟა ნოსირელი**

სავალალო სტატისტიკა

# დოპინგის მსხვერპლნი

**2011-2012 წლებში აკრძალული სამედიცინო პრეპარატი 9 ქართველმა სპორტსმენმა გამოიყენა. ამის შესახებ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარემ პალიკო კასრაძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ეს სპორტსმენები არიან: ძიუდოისტი თენგიზ პაპოშვილი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ბესარიონ გუჩაშვილი, ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე, მკლავჭიდელები მერაბ კაკაბაძე, ირაკლი გამთენაძე, მორაგბე მიხეილ სუჯაშვილი, მძლეოსანი ბენიკ აბრამიანი, ასევე გიორგი შეყლაშვილი და შოთა ომარაშვილი (ორივე პაუერლიფტინგი).

პალიკო კასრაძის განცხადებით, სპორტსმენებს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიეცათ, ასევე მათ ჩამოერთმევათ ყველა ის ტიტული, რომელიც ამ პერიოდში მოიპოვეს. კასრაძის თქმით, ირაკლი ცირეკიძეს სასჯელი უკვე მოხდილი აქვს.

„სამწუხაროა, რომ წარსულის მეტად მძიმე გამოცდილების მიუხედავად, როცა სწორედ დოპინგის მიღების გამო ჩვენი რამდენიმე ცნობილი და პერსპექტიული სპორტსმენი სამუდამოდ ან რამდენიმე წლით ჩამოშორდა აქტიურ სპორტს, ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. დოპინგის გამოყენების ფაქტების მზარდი და მეტად საგანგაშო სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს და გაფართოვდეს







ანტიდოპინგური საქმიანობა, გატარდეს კონკრეტული პრევენციული ზომები, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს აკრძალული ნივთიერებების და პროცედურების გამოყენება. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია დოპინგის მიღების ყოველი ფაქტის გამომზეურება, ადეკვატური სანქციის დაწესება და ამ თემაზე ფართო დისკუსია“, — განაცხადა კასრაძემ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი კი თავის მხრივ მოუწოდებს სპორტულ ფედერაციებს და კლუბებს, სპორტული გუნდების ექიმებს, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს, ზუსტად შეასრულონ მსოფლიოს ანტიდოპინგური კოდექსის მოთხოვნები და დაიცვან პატიოსანი შეჯიბრებების წესები.

**გიორგი შოთაძე**

ძიუდო

# დასახელდა ნაკრების შემადგენლობა

**2-3 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ მასპინძელთა გუნდის შემადგენლობა დაასახელა. ჩვენები თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი ფალავნით გამოვლენ:**



**60 კგ.** ვაჟა მარგველაშვილი, ამირან პაპინაშვილი, პაატა მერებაშვილი,გიორგი ბროლაშვილი.

**66 კგ.** ტრისტან ფეიქრიშვილი, მინდია ლილუაშვილი, ვანო თოთლაძე,თორნიკე თათარაშვილი.

**73 კგ.** ნუგზარ ტატალაშვილი, არსენ მაჭარაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი.

**81 კგ.** პაატა ღვინიაშვილი, ლევან წიკლაური, იოსებ ჩილინდრიშვილი, ლაშა ზურაბიანი.

**90 კგ.** ზვიად გოგოჭური, ლაშა ტაველური, ბექა ღვინიაშვილი, ჯუმბერ გიგაური.

**100 კგ.** გიორგი ნოზაძე, გიორგი ქავთარაძე, დავით ლორიაშვილი, ლაშა გურული.

**+100 კგ.** ლევან მატიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, გიორგი ზაქარიაძე, ონისე ბუღაძე.

ნაკრების თავკაცმა ამჯერად ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ) დაასვენა. მათ ნაცვლად თბილისურ ტურნირზე ლაშა ზურაბიანი (81 კგ) და ჯუმბერ გიგაური (90 კგ) იჭიდავებენ. უზნაძის თქმით, ჭრიკიშვილი და ლიპარტელიანი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი, 9-10 თებერვალს პარიზის დიდ სლემზე მოსინჯავენ ძალებს.

**გივი გაგუა**

სამთო თხილამურები



# ქართველები - თეთრი ბილიკებით

**სამთო მოთხილამურეებისთვის ერთობ დატვირთული სეზონია. 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად ისინი სხვადასხვა შეჯიბრებაში ცდიან ძალებს. საქართველოს ნაკრების წევრებმაც რამდენიმე ტურნირში იასპარეზეს და კარგი შედეგებიც აჩვენეს. უპირველესად ნინო წიკლაური გვინდა გამოვყოთ.** მან ავსტრიული ჰუნდერშტუდერის თეთრ ტრასებზე გიგანტურ სლალომში ორჯერ მეხუთე ადგილი დაიკავა, ორიოდე დღის წინ კი ამავე სახეობაში შედეგი გააუმჯობესა — მესამე ადგილი დაიკავა (2.03,08). ქართველ მოთხილამურეს მასპინძლებმა — მარია გუდრიჩმა (2.02,46) და ტერეზა ოფენჰაუზერმა (2.03,08) აჯობეს, ამ უკანასკნელს ჩვენებური მხოლოდ 0,07 წამით ჩამორჩა.

გერმანიაში საქართველოს ნაკრების წევრებმა — **იასონ აბრამაშვილმა** და **ჯაბა გელაშვილმა** იასპარეზეს. აბრამაშვილს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგზური მოპოვებული აქვს, გელაშვილს კი საამისოდ ქულები სჭირდება. ბად ვიესის ტრასაზე სლალომში აბრამაშვილი (1.21,13) მეოთხე იყო, პირველ-მესამე ადგილებზე რაფაელ ბრეუ (გერმანია, 1.19,95), ფლორიან ფიედლერი (ავსტრია, 1.20,83) და ფაბიან დატცერი (გერმანია, 1.20,84) გავიდნენ. ჯაბა გელაშვილი (1.23,05) მე-15 ადგილით დაკმაყოფილდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის — **ელენე გედევანიშვილის** ძმა **დიმიტრი გედევანიშვილი.** სუპერგიგანტში მან მე-11 ადგილი დაიკავა.

**ლაშა დიდია**

სანთელი

# გოგი დემეტრაძე

დღეს კიდევ ერთი ძირძველი კიროვისბაღელი გახდა უკვდავების ბინადარი — **გოგი დემეტრაძე.**

პროფესიით ისტორიკოსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თუმცა საზოგადოება არანაკლებ აფასებდა, როგორც ფეხბურთის თავგადაკლულ გულშემატკივარს.

არაორდინარული, პირუთვნელი პიროვნება ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის წევრიც იყო, სადაც უკომპრომისო პოზიციას ისევე ავლენდა, როგორც ყველგან და ყოველთვის.

უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში გამართული არც ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი არ გამოუტოვებია, მაგრამ გამორჩეულად მაინც ტაშკენტსა და დიუსელდორფში ქართული ფეხბურთის მიერ მოპოვებულ საე-



ტაპო გამარჯვებებში თანამონაწილეობას მიიჩნევდა.

განსაკუთრებული გახლდათ ჯიგრიანი თამაშის მოყვარულის „ლიუბიმჩიკთა“ ნუსხაც: გივი ნოდია, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, ჯემალ ზეინკლიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, ანდრეს ინიესტა. ჯენარო გატუზოზე ამბობდა, ხუთი ეგეთი რომ გვყავდეს, რუსებთან ომს მოვიგებდითო.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: როცა კიროვის ბაღში ახალკაცის კრიტიკას გაიგებდა, მისი ნიჭის ოპონენტებს მრავლისმეტყველად მიუგებდა: მთავარი ტაბლოაო.

და კიდევ: როცა მოდაში მარადონა შემოვიდა, ბატონო გოგი ბოლომდე პელეს ტალანტის ერთგული დარჩა.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა!

**გია პლატონიშვილი**

მძლეოსნობა

# ჭაბუკები იმედებს ამართლებენ

**დიდუბის მანეჟში 1998-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა თბილისის ზამთრის ღია პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად გორის, ბორჯომის, თიანეთის, ქუთაისის, ვანის, ხობის, ზუგდიდისა და ფოთის წარმომადგენლებმაც იასპარეზეს. ტურნირის მიზანი იყო წლეულს ჰოლანდიური უტრეხტისა და ორი წლის შემდეგ თბილისის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალებისთვის სპორტსმენთა შერჩევა, ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და საშეჯიბრო გამოცდილების მიღება. პირველობის მონაწილეთა უმრავლესობამ სპეციალისტთა იმედები გაამართლა.**

**დისციპლინების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ:**

**60 მ.** თეონა მაჭარაშვილი (თბილისი), **60 მ/თ.** მარი ჩაკაბერია (ზუგდიდი), საბა კურდღელია (ქუთაისი), **150 მ.** მარი ჩაკაბერია, დავით ჭედია (ორივე — ზუგდიდი), **300 მ.** მარიამ მშვიდობაძე (თბილისი), დათო ლუკავა (ზუგდიდი), **600 მ**. ლიდა ბერძენიშვილი, ზაურ ებრალიძე (ორივე — ბორჯომი), **1000 მ.** ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი), ოთარ მებონია, **სიმაღლეზე ხტომა.** მარიამ მწითური, ილია ბოლოთაევი, **ჭოკით ხტომა**. დიანა ზოლოტუხინა, მიშა ცანავა (ხუთივე — თბილისი), **სამხტომი.** ნინო კარელიძე (გორი), საბა კურდღელია (ქუთაისი), **სიგრძეზე ხტომა.** ნინო კარელიძე (გორი), ავთანდილ ტყეშელაშვილი (ქუთაისი), **შუბი**. ია რეხვიაშვილი (თბილისი), მიხეილ კალაძე (რუსთავი), **ბადრო.** ნინო წიქვაძე, თემურ აბულაშვილი, **ურო**. სოფო მათიაშვილი, გიორგი ონიანი, **ბირთვი.** ანი კაპანაძე (ხუთივე — თბილისი), გიორგი მუჯარიძე (გორი).





მომდევნო უქმეებზე საქართველოს ზამთრის პირველობაში უფროსი თაობის სპორტსმენები მოსინჯავენ ძალებს, ოღონდ მანეჟის მძლეოსნურ ბილიკებზე ნაკრების რამდენიმე წევრს ვერ ვიხილავთ. სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური ბელარუსში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. იქაურ ზამთრის ჩემპიონატში 215 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო და მეორე ადგილი დაიკავა. მომდევნო შაბათ-კვირას იქვე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. გოგოჭური, ისევე როგორც სალომე რიგიშვილი (ბადრო), მაიკო გოგოლაძე (სიგრძეზე ხტომა) და ლაშა ღუღელაური (სამმაგი ხტომა) ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის ემზადება.

ამჟამად საფრანგეთში იმყოფებიან და მომავალ შაბათ-კვირას საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძე და თარჯმრბენი დავით ილარიანი. სათანადო შედეგს თუ აჩვენებენ, 9-10 მარტს ჩერნოგორიაში ევროპის ზამთრის ჩემპიონატზეც გამოვლენ.

**ლექსო ცინცაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენებური

# გამარჯობა, ჩემო თბილისო, მოგესალმები, საქართველო!

**ცოტა ხნის წინათ მეგობრის მეუღლემ ტელეფონით საუბრისას მითხრა — პეტერბურგი მენატრება, სადაც თითქმის მთელი ცხოვრება გავატარე, თუმცა იქ როცა ვარ, თბილისს სიზმრებში ვხედავო. კარგად მესმის მისი განცდა, ფიქრები, რადგან ბევრჯერ მსმენია იმის შესახებ, რომ მშობლიურმა, სიყმაწვილის ქალაქმა თუ მხარემ, საოცარი მონატრება იცის.**

სწორედ ამ ნოსტალგიის გაზიარების განცდა გამიჩნდა, როცა მადლიანი, ღირსეული ჩვენებური კაცის, ბატონ იური ავეტიკოვის შესახებ სტატია წავიკითხე გაზეთ „თბილისსკაია ნედელიაში“.

დიდებული კინოხელოვნის ალექსი კაპლერის ნამოწაფარს, დღემდე ახსოვს და მადლიერებით იხსენებს თბილისელ მასწავლებლებს — ქალბატონ ირინე გოცირიძეს, ბატონებს სერგო ზაქარიაძესა და კოტე სურმავას. მეგობრებიც ამ დიდებული ხალხის დარი ჰყავს — სახელოვანი კინორეჟისორები, მსახიობები — ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები, ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, გარდაცვლილი ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი... სახელთა ჩამონათვალს კაცი იოლად ვერ გამოლევ — ამ ღირსეული ხალხის ხსენებაში ის სულისკვეთება და უდიდესი სითბოა, რომელსაც ბატონი იური ათეულობით წელია, გულით ატარებს და სათუთად ეპყრობა.

ეს, ცხადია, ნოსტალგიური გრძნობაა, ფესვების მონატრება, თორემ თბილისში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონმა იური ავეტიკოვმა მოსკოვში კინოს ცნობილი ინსტიტუტი ვგიკი დაამთავრა, მერე წლების განმავლობაში კინოდოკუმენტალისტიკაში ტაშკენტში მუშაობდა, ამჟამად კი მეუღლესთან, ქალბატონ მარინა სემენცოვასთან ერთად კინოსტუდია „ფარაჯანოვ-ფილმს“ ხელმძღვანელობს. მანამდე კი მოსკოვში იყო დოკუმენტური ფილმის სტუდიის მთავარი რედაქტორი, სსრ კავშირის „გოსკინოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, „სოვინფილმის“ მთავარი რედაქტორი. უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ კინოფილმებს აწარმოებდა.

ბატონ იური ავეტიკოვის სტუდიაში გადაღებულმა ფილმებმა მას მაყურებლის სიყვარული და სპეციალისტთა აღიარება მოუტანა, მათ შორისაა „დიდებაზე უფლების გარეშე“, რომელიც საბჭოურ დრომდე რუსეთის საგარეო დაზვერვის ისტორიას ეხება და რომელმაც მას სახელმწიფო პრემია მოუტანა.

ბატონი იური ამჟამადაც ნაყოფიერად მოღვაწეობს, საყვარელ საქმეს ემსახურება და, როგორც თავად ამბობს, „ძველაივნებიანი თბილისი “ უზომოდ ენატრება და მასზე ფილმის გადაღებას ოცნებობს.

**ოთარ ტურაბელიძე**



**სურათზე: იური ავეტიკოვი (მარცხნივ) თბილისში სტუმრად სიყრმის მეგობარ ლადო აბულაძესთან.**

თქვენი გული

# მცდარ დიაგნოზს თავი რომ აარიდოთ

**ექსტრასისტოლიას ხშირად „კოსმეტიკურ არითმიას“ უწოდებენ, რითაც ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ორგანიზმისთვის ის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. თუმცა კი მედიკოსები გვირჩევენ, რომ მისი გამოვლენის შემთხვევაში უმჯობესია, ექიმს მივმართოთ.**

ამ პრობლემას გადაყრილი ხალხი, ჩვეულებრივ ამბობს, რომ რამდენიმე წამით გული თითქოს უჩერდება. ზოგიერთ შემთხვევაში ამას შეიძლება გულის ბიძგის, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება ახლდეს. **ამის მიზეზია ექსტრასისტოლები — გულის რიგგარეშე შეკუმშვები: წარმოიშვება იმპულსი, რა მიზეზითაც ერთი დარტყმა დროზე ადრე, მეორე კი თავის დროზე ხდება. შესაბამისად, შეკუმშვებს შორის პაუზა ხანგრძლივდება — უსიამო სიმპტომების წარმოშობის მიზეზიც სწორედ ეს არის.**

**ექსტრასისტოლია — არითმიის ყველაზე გავრცელებული სახეობაა.** 50 წელს გადაცილებულ ადამიანთა 80 პროცენტს გულის რიგგარეშე შეკუმშვები პერიოდულად მოსდით. ისინი ხშირად ახალგაზრდებსაც წარმოეშვებათ, მათ შორის ნავარჯიშევი გულის პატრონ სპორტსმენებსაც. სწორედ ამის გამოა, რომ ბევრი ფიქრობს — რიტმის მოშლა სახიფათო არაა, არადა საქმე მთლად ასე არ არის. ექსტრასისტოლიას შესაძლოა სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს, ამდენად შედეგიც სხვადასხვაგვარი იყოს.



თუკი გულისცემის რიტმის მოშლა იშვიათად წარმოიშვება, თანაც კაცს გულთან დაკავშირებით სხვა პრობლემები არა აქვს, ექსტრასისტოლია მკურნალობას არ საჭიროებს. ასეთი რიტმის არევას ფუნქციონალურს უწოდებენ. ის, შესაძლოა, ყავის ან ალკოჰოლის ზედმეტად სმის, ან სტრესის გამო წარმოიშვას. ქალებს ექსტრასისტოლია ხშირად მენსტრუალური ციკლის დროს ემართებათ. ამ შემთხვევაში ადამიანისთვის საკმარისია ცხოვრების ჯანსაღი წესის მიყოლა, ნაკლები ნერვიულობა, ყავისა და ალკოჰოლის მსგავსი სტიმულატორებისგან თავის შეკავება, რის შედეგად ყველაფერი ნორმაში ჩადგება, **რაშიც ასევე მაგნიუმითა და კალიუმით მდიდარი პროდუქტების — ბურღულის, სალათის, ხურმის, კურაგის, ციტრუსების მიღება დაეხმარება.**

წამლების მიღება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუკი გულის „გაჩერებები“ კაცს მის უკვე წარმოშობილ დაავადებათა დროს მოსდის — კერძოდ, სხვა არითმიების, გულის იშემიის, ან მანკის, კარდიოპათიის, და ა.შ. დროს. ერთი შეხედვით უწყინარ ექსტრასისტოლებს ამ დროს ძირითადი სნეულების გამწვავება და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაც კი შეუძლია.

**მკურნალობა საჭიროა იმ შემთხვევაში, თუკი კაცს დღე-ღამეში 200-ზე მეტი ესქტრასისტოლა წარმოეშვება.** იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დროს გული დაზიანებული არ არის, მისი მუშაობის ხშირ შეფერხებებს ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუარესება შეუძლია. თანაც ექსტრასისტოლების დროს მცირდება გულიდან სისხლის ამოფრქვევა, რის შედეგად თავის ტვინისა და ორგანოების სისხლის მომარაგება უარესდება.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ თავისთავად გულის „გაჩერება“ მკურნალობას არ საჭიროებს, მაგრამ სხვა სნეულების ნიშანია, რომელიც თავის მხრივ თერაპიას საჭიროებს. მაგალითად, ექსტრასისტოლები ხშირად წარმოიშვება ჰიპერტირეოზის, ფარისებრი ჯირკვლის მოჭარბებული ფუნქციის, ნევროზის, კისრის ოსტეოქონდროზის დროს. ამ შემთხვევაში საკმარისია ძირითადი მიზეზის მოცილება — ფარისებრ ჯირკვალში, კისრის კუნთების დაჭიმულობის მოხსნა, დამამშვიდებელი პრეპარატების მიღება, რის შემდეგ, როგორც წესი, გული თანაბრად იწყებს ძგერას.

როგორც ხედავთ, ვარიანტები მრავლადაა და იმის საკუთრივ გარკვევა, თუ რამდენად სახიფათოა ექსტრასისტოლია კონკურენტულ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია. კარდიოლოგები ერთ აზრზე არიან: **თუკი პერიოდულად გულის ბიძგებს და მათ მომდევნოდ პაუზებს გრძნობთ, უმჯობესია, არ იმარჩიელოთ და სპეციალისტს მიაკითხოთ.** ამას მნიშვნელობა კიდევ იმიტომ აქვს, რომ ის, რასაც ზოგჯერ გულის „გაჩერებად“ აღვიქვამთ, სინამდვილეში ყოველთვის ექსტრასისტოლები არ არის. მაგალითად, ზოგჯერ ადამიანები გულისცემის პაუზებს გულის ტკივილში ურევენ (რაც თითქმის ყოველთვის პრობლემას მიანიშნებს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება), ანდა ნეკნებშორისი ნევრალგია ჰგონიათ.

მცდარი დიაგნოზის თვიდან აცილებაში ელექტროკარდიოგრამის გადაღება დაგეხმარებათ, რაც საკმარისი იქნება ექსტრასისტოლების დასადგენად.

**ირმა ირემაშვილი**

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პასუხისმგებელი რედაქტორის, მწერლისა და მთარგმნელის ბატონ გურამ გოგიაშვილის მეუღლის

**ლილი მალაციძე-გოგიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს გურამ გოგიაშვილს მეუღლის

**ლილი ბესარიონის ასულ მალაციძე-გოგიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ობსერვატორიის დირექტორს მაია თოდუას დედის

**ნათელა ჩქვანავას**

გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

# მაშველები შველას ითხოვენ

**საგანგებო** და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრები ხელმძღვანელობისგან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებას ითხოვენ.

ახლად შექმნილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის წევრებმა ამის შესახებ პრესკონფერენცია პროფკავშირების გაერთიანების ოფისში საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ორგანიზებით გამართეს.

როგორც პრესკონფერენციაზე საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ ნუგზარ ჭინჭარაულმა განაცხადა, კოლექტიური ხელშეკრულების ფორმა სააგენტოს ხელმძღვანელობას გადაეგზავნა. პროფკავშირში გაწევრიანებულ მაშველ-მეხანძრეებს სამი უმთავრესი მოთხოვნა აქვთ. კერძოდ, ისინი შრომის ანაზღაურების გაზრდას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას და უვადო ხელშეკრულებებს ითხოვენ. მაშველ-მეხანძრეებს ასევე სხვა სოციალური მოთხოვნებიც გააჩნიათ.

ჭინჭარაული იმედს გამოთქვამს, რომ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობასთან სოციალური დიალოგი შედგება.

ამასთან, პრესკონფერენციაზე მაშველ-მეხანძრეთა ახლად შექმნილი პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი დიასამიძემ განაცხადა, რომ ისინი თბილისის მერიის მიერ გაცხადებული 20%-იანი სახელფასო მატების თანაბრად გადანაწილებას ითხოვენ. მისი ცნობით, რიგით მაშველ-მეხანძრეებს ხელფასები 16-17%-ით მოემატათ.

— რიგითი მაშველ-მეხანძრის დარიცხული თვიური ხელფასი დღეისთვის 560 ლარს შეადგენს, რაც 1,5 მლნ ქალაქისთვის ძალიან მიზერულია. მაშველები თავიანთ მოვალეობას სიცოცხლის რისკის ფასად ასრულებენ. მათ არც სოციალური შეღავათები არ გააჩნიათ, — დასძინა დიასამიძემ.

მისივე თქმით, აქვთ ინფორმაცია, რომ პროფკავშირებში გაწევრიანების გამო, მეხანძრე-მაშველებზე განხორციელდა ზეწოლა. დიასამიძემ მოუწოდა სააგენტოს ხელმძღვანელობას, არ გაათავისუფლოს ისინი სამსახურიდან პროფკავშირულ ორგანიზაციაში წევრობის გამო.

**ინტერპრესი**

## განცხადება

2013 წლის 6 თებერვალს 11საათზე, დაბა აგარის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართება E-60 მაგისტრალის აგარა დიდი სათივე, კმ114-კმ126 მონაკვეთის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge

გთხოვთ წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ მაკა სტამატელს, ტელ: 599 196839, ელ-ფოსტა: mszgc@access.sanet.ge; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595 219411. likabubashvili@yahoo.com

## განცხადება

**საქართველოს შემოქმედებითი კავშირის „საქართველოს საინჟინრო აკადემიის“ პრეზიდიუმი**

აცხადებს, რომ 2013 წლის 6 მარტს 15 საათზე ჩატარდება საქართველოს შემოქმედებითი კავშირის „საქართველოს საინჟინრო აკადემიის“ საერთო კრება.

დღის წესრიგშია საქართველოს შემოქმედებითი კავშირის „საქართველოს საინჟინრო აკადემიის“ **პრეზიდენტისა და პრეზიდიუმის წევრთა** არჩევნები.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს საინჟინრო აკადემიის საორგანიზაციო განყოფილებას.

**მისამართი:** თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №15, I სართული, ოთ. 20.

ტელ. **+(995 32) 238 34 88; 599 34 79 22;** E-mail: engacad@mail.ru

**საქართველოს შემოქმედებითი კავშირი „საქართველოს საინჟინრო აკადემიის“ პრეზიდიუმი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მედიცინა

# ხალი ღაწვზე...



**ცნობილმა ფირმამ მერლინ მონროს პატივსაცემად შექმნა ფეხსაცმელები. დიზაინერების ჩანაფიქრით, მსახიობის შესახებ შეგვახსენებს „მარგალიტის ხალი“ ფეხსაცმლის ზედა ნაწილზე. სინდი კროუფორდი, მადონა, ბარაკ ობამა, მიხეილ გორბაჩოვი — ყველა მათგანს აქვს დასამახსოვრებელი ხალი...**

**გესაუბრებით ხალების, მეჭეჭების და სხვა წამონაზარდების შესახებ, მათს თვისებებზე.**

### პიგმენტური ლაქები

● **წარმოქმნის მიზეზები:** კანის ასაკობრივი ცვლილებები, გარუჯვის ბოროტად გამოყენება.

● **როგორ გამოიყურებიან:** ჰიპერპიგმენტაციის პატარა, თითქოს შემოხაზული ნაკვთები.

● **რით არის სახიფათო:** იზრდება, ხდება ტრავმირებული.

● **როგორ ვებრძოლოთ:** ქიმიური პილინგები, პრეპარატების ინექცია, რომლებიც ამცირებენ მელანინის წარმოქმნას, შრატების გამოყენება.

### კერატომა

● **წარმოქმნის მიზეზები:** გარუჯვის ბოროტად გამოყენების ან ჰორმონალური დისბალანსის გამო.

● **როგორ გამოიყურება:** ყავისფერი ბალთა ან პატარა კვანძი, რომლებიც დაფარულია მაგარი ქერცლით.



● **რით არის სახიფათო:** ზრდითა და ინფიცირებით ტრავმის დროს.

● **როგორ ვებრძოლოთ:** ქირურგიულად.

### დემოდეკოზი

● **წარმოქმნის მიზეზები:** დაავადებას იწვევს კანქვეშა ტკიპა. ეს მავნებელი იკვებება ცხიმით, რომელსაც გამოყოფს ქონის ჯირკვლები.

● **როგორ გამოიყურება:** პაპულის ტიპის გამონაყარი. მიშვებულობის დროს — პატარა წყლულები ან ჩირქგროვები, ზოგჯერ — ვარდისფერი ფერიმჭამელები.

● **როგორ ვებრძოლოთ:** მექანიკური გამოწურვა.

### ჰემანგიომები

● **წარმოქმნის მიზეზები:** კეთილთვისებიანი სისხლძარღვოვანი სიმსივნეები — კანის სისხლძარღვების განვითარების სენი.

● **როგორ გამოიყურება:** წითელი ლაქა ან სიმსივნისებრი წარმონაქმნი.

● **რით არის სახიფათო:** ტრავმირების დროს — ინფიცირებით.

● **როგორ ვებრძოლოთ:** ქირურგიული მოშორება.

### კონტაგიოზური მოლუსკი

● **როგორ გამოიყურება:** მომრგვალებული ფორმის ერთეული უმტკივნეულო მკვრივი კვანძები, ზოგჯერ კანი ვარდისფერს ან სადაფისმაგვარ ელფერს იძენს. გამონაყარის სიდიდე ფეტვის მარცვლიდან ბარდის მარცვლამდე.

● **წარმოქმნის მიზეზები:** იწვევს პარაზიტი-საპროფიტი, რომელიც აქტიურდება იმუნიტეტის დაქვეითების დროს.

● **რით არის სახიფათო:** გაზრდით, გამონაყართა გადიდებით მოცულობაში.

● **როგორ ვებრძოლოთ:** კვანძის მექანიკური ამოწურვით, რის შემდეგაც დაზიანებული ზედაპირი უნდა დამუშავდეს ვირუსის საწინააღმდეგო საცხებებით.

### მეჭეჭები

● **წარმოქმნის მიზეზები:** ადამიანის პაპილომის ვირუსი.

● **როგორ გამოიყურება:** როგორც კანის კვანძები.

● **როგორ ვებრძოლოთ:** თვითმკურნალობა წინააღმდეგმაჩვენებელია — დიდია ნაწიბურის წარმოქმნის რისკი. კოსმეტოლოგები მეჭეჭებს გვაშორებენ დენით გაყინვით, ლაზერით, ქირურგიული დასერვით.

### მელანომა (კანის კიბო)

● **მიზეზები:** გენეტიკა, გარუჯვა.

● **როგორ გამოიყურება:** ახალი წარმონაქმნი არათანაბარი ნაპირებით, დამუწუკებით.

● **რით არის სახიფათო:** ონკოლოგიის ყველაზე სწრაფმდინარე სახეობა.

● **როგორ ვებრძოლოთ:** ქირურგიული მოშორება, ქიმიოთერაპია.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### პრეზიდენტის დედას მთავარ პროკურატურაში უჩივიან

შპს „სპორტლიდერის“ დამფუძნებელი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედას და ყოფილ მაღალჩინოსნებს მთავარ პროკურატურაში უჩივიან. დაზარალებულები გიული ალასანიას ბრალს მათი ქონების მისაკუთრებასა და მიტაცებაში სდებენ. „სპორტლიდერის“ დამფუძნებლები აცხადებენ, რომ აღნიშნული საკითხის გამოსაძიებლად მთავარ პროკურატურასა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ამ დღეებში ოფიციალურად მიმართავენ და საქმის შესწავლას მოითხოვენ.

„ვერსია“

### „ნაციონალებმა“ პოლიტიკური ნიშნით ორი კი არა, ათასამდე ადამიანი დაიჭირეს!

— აცხადებს პოლიტპატიმრად აღიარებული ლევან გოგიჩაიშვილი, რომელმაც ციხე სხვა პატიმრებთან ერთად, ამნისტიით დატოვა, — სააკაშვილი ციხიდან ისეთ ადამიანებს უშვებდა, რომლებიც საზოგადოებისთვის ნამდვილად საფრთხეს წარმოადგენენ. მათ ციხეში ბინძური ამოცანების შესასრულებლად იყენებდნენ. სააკაშვილი „ქურდულ სამყაროს“ გარეთ ებრძოდა, თორემ ციხეში ასეთებს აძლიერებდა, რომ მათ ჩვენნაირი პატიმრები ემართათ, თუმცა, ბოლო დროს ისინი ჩვენზე ზემოქმედებას ვეღარ ახდენდნენ, ამიტომ სხვადასხვა გზით ცდილობდნენ, შეექმნათ კონფლიქტური სიტუაცია.

„ქართული სიტყვა“

### ავტორიტეტაყრილი გუბერნატორები

პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშნული „სახეები“ რეგიონებში გავლენის შენარჩუნებას ვეღარ ახერხებენ. თუკი ადრე ნებისმიერი გუბერნატორი წყვეტდა თავის რეგიონში ყველა საკადრო საკითხს და აკონტროლებდა რეგიონის ბიზნესს, ოქტომბრის შემდეგ მათი მთავარი საქმიანობა თვითმმართველობების ბლოკირებისა და გამგეობების შეცვლის გამო, საპროტესტო ბრიფინგების მოწყობაა. რამდენიმე დღის წინ კი ამ საქმიანობას დაემატა ისიც, რომ თავად გუბერნატორებამ დაიწყეს „ნაცმოძრაობის“ მიერ წამოყენებული ინიციატივის, ფინანსური ამნისტიის მხარდამჭერი ხელმოწერების „კარდაკარ“ შეგროვება.

„რეზონანსი“

### რა კავშირი აქვს ალასანიას უგულავასთან

ირაკლი ალასანიას გარშემო მითქმა-მოთქმა არ წყდება. ოფიციალური განმარტება მისი ვიცე პრემიერობიდან გადაყენების შესახებ არავის სჯერა. ალასანიაზე ისევ ავრცელებენ ახალ ჭორებს. ამბობენ, რომ ის გიგი უგულავასთან ხმაშეწყობილად მოქმედებს, რომ მათ შორის კონსულტაციებიც მიმდინარეობს. ამას, ბუნებრივია, არცერთი მხარე არ ადასტურებს.

„ახალი თაობა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 2 თებერვალს**

კადრი



ანეკდოტები

— **მითხრეს**, რომ ტყვედ ყოფნისას თქვენ ელექტროშოკით გაწამებდნენ, ფრჩხილებს ქვეშ ნემსებს გირჭობდნენ, გავარვარებული რკინით გდაღავდნენ... როგორ უძლებდით ყოველივე ამას? თქვენ რა, ტკივილის გრძნობა არა გაქვთ?

— უბრალოდ, იმ დროისთვის ცოლიანი ვიყავი.

* * *

— **დააკვირდი** ჩვენს ახალ მეზობლებს, ახალგაზრდა წყვილს, — ეუბნება ცოლი ქმარს. ნახე, როგორ ნაზად უყვარს ქმარს ცოლი. სამსახურში წასვლისას კოცნის მას, სახლში დაბრუნებული ყვავილებს ჩუქნის, ოთახში შესვლამდე ეხვევა და ეფერება... იქნებ შენც ასე მოქცეულიყავი?

— ცხადია, ცუდი იდეა არ არის. მაგრამ იმ ჩვენი მეზობლის ცოლს რომ არ ვიცნობ?



* * *

— **ძვირფასო** გაზეთში წერია, რომ ქვრივი ქალები, როგორც წესი, კარგი ცოლები ხდებიანო, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— ესე იგი, მე თავი უნდა მოვიკლა იმისთვის, რომ შენ კარგი ცოლი გახდე?

* * *

— **ბანკში**, რომელიც მოსახლეობისთვის კრედიტებს გასცემს, ბანდიტები შეცვივდებიან და ბანკირებს ეუბნებიან:

— კოლეგებო, აბა სწრაფად ჩაყარეთ ფული ტომრებში!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com